პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

10 დეკემბერი
შაბათი

1905. გამოვიდა პირველი პროფესიონალური ჟურნალი რუსეთში: „პროფესიონალური კავშირი“.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია [illegible] ყოველ დღე [illegible] უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 სსერთო №

№ 233 შაბათი, 10 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 10 დეკემბერი, 1921 წ. № 233

თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა

თბილისის მუშათა და წ. თელ-არმიელთა საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისაგან.

თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა შესდგება შაბათს, 10 დეკემბერს დღის 4 საათზე, საოპერო თეატრის დარბაზში, საბჭოში არჩეულმა დეპუტატებმა შესაფერი მანდატები უნდა მიიღონ წინასწარ ცენტრალურ საარჩევნო კომისიისაგან. მანდატების მისაღებათ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს შესაფერი მოწმობა რაიონულ კომისიისაგან, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს თუ საიდან არის არჩეული ამხანაგი. მანდატების მიღება შეიძლება 9 დეკემბერს დღის 2 საათიდან საღამოს 7 საათამდე, და 10-ს, დილის 9 საათ. დღის 4 საათამდე,—საარჩევნო კომისიაში (მუშათა სასახლე, პირველი სართული, კულტ-განყოფილება).

კომისიის მდივანი **გ. ყურულაშვილი.**

დღეს, 10 დეკემბერს დღის 12 საათზე,

პროფსაბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე) შესდგება ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა

კომფრაქციის სხდომა.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

თბილისის საბჭოს მორიგი საკითხები

თბილისის წითელი საბჭო მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს არა მარტო საქართველოს დანარჩენ საბჭოებისათვის. მისკენ თვალს და ყურს დაიჭერენ აზერბეიჯანი, სომხეთი და ახლო აღმოსავლეთიც. თბილისის საბჭომ პოლიტიკური გეგემონიის როლი უნდა დაიმკვიდროს. ამას ის შესძლებს, თუ გააჩაღებს შემოქმედებით მშენებლობას სამეურნეო ფრონტზე.

დღეს შეიკრიბება თავის პირველ სხდომაზე თბილისის მშრომელთა არჩევნებიდან გამოსული „მუშათა და წითელარმიელთა საბჭო“. თბილისის პროლეტარიატის მიერ არჩეული საბჭო შესცვლის რევოლიუციურ პოსტზე თბილისის რევკომს, რომელმაც ცხრა თვე უდარაჯა მშრომელთ სასიცოცხლო ინტერესებს, აწარმოვა განუზომელი მნიშვნელობის მუშაობა რევოლიუციური წესწყობილების დასამკვიდრებლათ, შეუმზადა ნიადაგი მშრომელთა დიქტატურის ორგანოს—საბჭოს ნორმალურ მუშაობას, აღმშენებლობას.

დიადი მოვალეობა და მიზნები აქვს დაკისრებული თბილისის საბჭოს. მისკენ ექნებათ მიპყრობილი თვალი საქართველოს დანარჩენ საბჭოებს, მის მოქმედებას, მის ბრძოლას დაისახავენ მისაბაძ მაგალითად ყველა ქალაქის და სოფლის საბჭოები.

თბილისის პროლეტარიატმა ამცნო მთელს ქვეყნიერებას, რომ უკვე სავსებით თავი დააღწია იმ მოშხამულ ბურუსს, რომელშიაც ის გახვია მენშევიზმმა. თბილისის პროლეტარიატმა კომუნისტებისადმი სრული და განუყოფელი ნდობის გამოცხადებით აღიარა თავისი აქტიური გადასვლა ოქტომბრის რევოლიუციის ბანაკში.

ამ რევოლიუციის აკვანია შორეული ჩრდილოეთის წითელი პეტროგრადი. დღეს ოქტომბრის რევოლიუცია ფაქტიურად და ფორმალურად სადგურს იჩენს სამხრეთით, ევროპა-აზიის შესართავში, წითელ თბილისში.

ამიერიდან საბჭოთა თბილისი ხდება მთელი ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრათ და თბილისის საბჭოს ხმას ყურს ათხოვებს არა მარტო საქართველო, არამედ საბჭოთა ადერბეიჯანი, სომხეთი და ახლო აღმოსავლეთიც კი.

თბილისის საბჭო უნდა შეიქნეს და შეიქნება კიდეც მთელ საბჭოთა ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ საყვირათ. მშრომელთა დიქტატურის მორიგი ლოზუნგების ლაბორატორია აქ უნდა იყოს და ახლო აღმოსავლეთმა ბაქოს შემდეგ, აქ თბილისის საბჭოს პოლიტიკურ შემოქმედებაში უნდა ეძიოს პასუხი მორიგ წყეულ საკითხებზე.

მაგრამ ამით არ ამოიწურება თბილისის საბჭოს როლი და მნიშვნელობა. პოლიტიკური მეთაურობა გულისხმობს ნაყოფიერ საქმიანობას და წარმატებას ეკონომიურ სფეროში. პოლიტიკურ დიქტატურას ძირს უნდა უმაგრებდეს მიზანშეწონილი, მტკიცე და გაბედული სამეურნეო აღმშენებლობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დანიშნულებაა საწარმოო ძალთა აღორძინებით გაამაგროს მუშათა კლასის დიქტატურის საძირკველი, განამტკიცოს ორი მწარმოებელი კლასის—პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის კავშირი.

თბილისის საბჭოს მთელი შემოქმედება, მთელი უნარიანობა მიმართული უნდა იყოს სამეურნეო ფრონტისაკენ. ამ ფრონტზე წარმატებით ბრძოლა გაასალკდევებს მუშების და გლეხების კავშირს და მიმზიდველს გახდის საბჭოთა წყობილებას მეზობელ ჩამორჩენილ მშრომელ ხალხთათვის.

ეს ორი ძირითადი მომენტი—პოლიტიკური და ეკონომიური გეგემონია—გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამ ორ ღერძის გარშემო დატრიალებული მუშაობა და ბრძოლა გადასწყვეტს ყველა იმ საკითხებს, რის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ და მარტო მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას. თბილისის მშრომელთა მიუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ბინის საკითხის მოწესრიგება, ჯანმრთელობის და სწავლა-განათლების საქმე, სოციალური უზრუნველყოფა და სხ. და სხ. ყოველივე ამას გაუძღვება თბილისის მშრომელთა საბჭო.

საბჭოს შეუწყვეტელი ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ამომრჩევლებთან, თითოეული საბჭოს წევრის საქმიანი დამოკიდებულება თავის რაიონთან და მის წინაშე პასუხისმგებლობა, მასსების თვითმოქმედება და დეპუტატების დაუღალავი მუშაობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თბილისის საბჭოს გადააქცევს ჭეშმარიტათ სამაგალითო პროლეტარული დიქტატურის ორგანოთ.

„ჩვენი საბჭო“,—ამბობს ახლაც მუშათა მასსა.

„ჩვენი ინტერესების დამცველი, ჩვენი მდგომარეობის გამაუმჯობესებელი, ჩვენი ბრწყინვალე მომავალის მჭედელი, ჩვენი მუშური ძალა-უფლების მატარებელი საბჭო!“—ასე იტყვის ხვალ თუ ზეგ თბილისის მშრომელი მასსა, მნახველი თბილისის საბჭოს შემოქმედების და მშენებლობის.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციისთვის

აზერბეიჯანის სომხეთის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულების პროექტი

(მიღებულია აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებისა, რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს პლენუმისა და ამიერკავკასიის 32 პარტიულ თათბირისაგან.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლების სრულ-უფლებიანმა კონფერენციამ გამოვიდა რა დიდი პროლეტარული რევოლიუციის მიერ აღიარებულ ხალხთა თვით გამორკვევის უფლებებიდან, იცნო რა ხელშეკრულების თითოეულ მონაწილის დამოუკიდებლობა და სუვერენობა, თვლის თავის ძალების შეკავშირების საჭიროებას თავდაცვის მიზნებისა და სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესებისათვის,—დაადგინა, რომ ამიერიდან აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკები ამყარებენ ერთმანეთში მჭიდრო სამხედრო პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს შემდეგ საფუძვლებზე:

1 რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს ხელის უფლებათ ითვლება აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მთავრობების მიერ თანასწორი რიცხვით არჩეული წარმომადგენლების სრულ-უფლებიანი კონფერენცია.

2) სრულუფლებიან კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება საკავშირო საბჭო, რომლის წევრებს ირჩევს და უკან იწვევს კონფერენცია.

3) საკავშირო საბჭოს გამგებლობაში გადადის: სამხედრო საქმეები, ფინანსები, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა და ეკონომიური პოლიტიკის ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

4) საკავშირო საბჭო შესდგება თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრებისაგან:

ა) სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი.
ბ ფინანსთა სახალხო კომისარი.
გ) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.
დ) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი.
ე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი.
ვ) გზათა მიმოსვლის სამართველოს უფროსი.
ზ) კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

შენიშვნა 1): მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო სახალხო კომისარიატები უქმდებიან, გარდა კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი საგანგებო კომისიებისა, რომლებიც რჩებიან რესპუბლიკებში მათი საკავშირო საგანგებო კომისიის დაქვემდებარებით.

შენიშვნა 2) სამხედრო საქმეთა, ფინანსების, და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატებს ჰყავთ მოკავშირე რესპუბლიკებში თავისი რწმუნებულები, რომლებიც წევრების უფლებებით შედიან რესპუბლიკების მთავრობებში.

5) საკავშირო საბჭო ყველა საკითხებში, რომლებიც კი შედის მის გამგებლობაში, სცემს დეკრეტებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და საერთოდ იღებს ყოველ საჭირო ზომებს მათზე დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად.

6 მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიურ ორგანოების მოქმედების გასაერთიანებლად არსდება „უმაღლესი ეკონომიური საბჭო“, რომელიც მოქმედებს საკავშირო საბჭოს მუდმივი კომისიის უფლებებით.

7 უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობაში შედის მის თავმჯდომარის უფლებებით საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე და წევრების უფლებებით—სამხედრო და საზღვაო საქმეთა, ფინანსთა, გზათა მიმოსვლის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარები, მოკავშირე მხარეების, ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის პროფკავშირების საბჭოსა და საკავშირო მუშა გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი.

8) უმაღლესი ეკონომიური საბჭო ამუშავებს მოკავშირე რესპუბლიკების ერთიან სამეურნეო გეგმას, უდგენს მას დასამტკიცებლად კონფერენციას, უძღვება ეკონომიურ კომისარიატების მუშაობას, ამ გეგმის მიხედვით, თვალ ყურს ადევნებს მის განხორციელებას და საჭიროების დროს ახდენს ამ გეგმის შესწორებას.

9) ყველა საკავშირო უწყებებისა და დაწესებულებისა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებისათვის აუცილებლად სავალდებულოა უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებები.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებები ეხება არა გაერთიანებულ უწყებებს და დაწესებულებებს, უმაღლესი ეკონომიურ საბჭო ახორციელებს ამ დადგენილებებს სათანადო რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოს საშვალებით.

11. საკავშირო საბჭოსთან დგება საკავშირო მუშა-გლეხთა ინსპექცია, რომელიც უძღვება და აერთიანებს რესპუბლიკების სახალხო მუშა-გლეხთა ინსპექციის კომისარიატების მუშაობას საკავშირო კომპეტენციის საკითხების ფარგლებში და აგრეთვე საკავშირო ორგანოების მოქმედების საკონტროლოდ.

12) საკავშირო საბჭო და მისი ხელ ქვეთი ორგანოები ყველა თავის მოქმედებებში ანგარიშს უდგენენ სრულუფლებიან კონფერენციის წარმომადგენლებს, რომლებიც შედიან რესპუბლიკების კავშირში. სრულუფლებიან კონფერენციას უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ყოველგვარი დადგენილება ან გადაწყვეტილება საკავშირო საბჭოსი, უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსი და სხვა საკავშირო ორგანოებისა, როგორც რესპუბლიკის მთავრობების პროტესტის მიხედვით ისე თავის შეხედულებით.

13) რესპუბლიკების კავშირი ამყარებს ურთიერთობას რ. ს. ფ. ს. რ. საკავშირო ხელშეკრულების საფუძვლებზე.

რეზოლიუცია

ამიერ-კავკასიის მეორე პარტიული თათბირის, რომელიც შესდგა თბილისში 1921 წ. 7 დეკემბერს.

ამიერ-კავკასიის მეორე პარტიული თათბირი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა დროზე და სწორედ გაითვალისწინეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის შექმნის საჭიროება, რომელსაც, გარდა ზოგად—პოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებისა, მოითხოვენ მიმდინარე ცხოვრების პრაქტიკული ამოცანები, გამოწვეულნი განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის ახალ კურსთან დაკავშირებით. ამიერ-კავკასიის ფედერატიული გაერთიანებით მთავრდება ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორის ბრძოლის ხანგრძლივი და მძიმე ხანა, როგორც აუცილებელი შედეგი მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ნაციონალისტური პარტიების და მთავრობების მთელი წინანდელი კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკისა, რომელიც მდგომარეობდა ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ეროვნულ წინაალმდეგობის გამწვავებაში, მათ ერთმანეთისადმი დაპირისპირებაში და ჩათრევაში პირდაპირი სისხლისმღვრელ შეტაკებებში (ომები საქართველოსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის). ეს პოლიტიკა მასთან ერთად მოასწავებდა ერთი მხრივ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა თითეულ ნაციონალისტურ მთავრობის პოლიტიკურ კავშირს ევროპის რეაქციასთან, რომელიც მიმართული იყო ამ რესპუბლიკების მშრომელი მასსების წინაალმდეგ; მეორე მხრივ—სრულ გათიშვას კაპიტალის წინაალმდეგ აჯანყებულ რუსეთის მუშებს და გლეხებს და ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსებ შორის.

ამიერ-კავკასიის ფედერატიული გაერთიანება საბოლოოდ ამყარებს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის მკვიდრ და დაურღვეველ მშვიდობიანობას და ქმნის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს გარშემორტყმულ კაპიტალისტურ ქვეყნების წინაალმდეგ.

გამოდის რა ყველა აქედან, ამიერ-კავკასიის პარტიული თათბირი საჭიროთ სცნობს:

1. რომ ამჟამად საჭიროა გადასვლა ფედერაციის იდეის აგიტაციის და პროპაგანდის სფეროდან, რომელთაც ჰქონდათ ფართე მასსიური ხასიათი, მუშაობის შემდგომი გაღრმავებასა და გაფართოებაზე საბჭოების საშუალებით ფედერაციის სწრაფი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

2. რომ ამ მიზნებისათვის საჭიროა საბჭოს არჩევნების დაჩქარება საქართველოსა და სომხეთში, იმ აზრით რათა ასეთები დამთავრდეს არა უგვიანეს 1922 წლის იანვრის დასასრულისა.

3. რომ კავბიუროს მმართებს, კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების და კავბიუროს მიერ მიღებულ საკავშირო ხელშეკრულობის მიხედვით, სათანადო კომისიების დაუყონებლივი დაარსების გზით შეასრულოს მთელი მოსამზადებელი პრაქტიკული მუშაობა ფედერატიული ხელისუფლების და მმართველობის მოსაწყობათ, ფედერაციის ოფიციალური გამოცხადების დროისათვის.

ბრწყინვალე გამარჯვება

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და კერძოდ „დამოუკიდებელი“ საქართველო მთელი რუსეთის და დასავლეთ ევროპის კონტრ-რევოლიუციონერების ბაზას წარმოადგენდა. გაბატონებული მენშევიკები მოხერხებულად რაზმავდენ ყველა ამ უცხო და თავის საკუთარ ძალებს თავის ერთად ერთი ძლიერი მტრის—ბოლშევიკების წინაალმდეგ. ყოველგვარი საშუალებით ცდილობდენ ისინი ხალხის თვალში სახელი გაეტეხათ „ბარბაროსებისათვის“ და მართლაც ამ მხრივ მათ ბევრი გააკეთეს. საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების შემდეგაც საგრძნობლად ჰქონდა ფეხი მოკიდებული მენშევიკურ გიპნოზს. ზოგიერთებს ნამდვილად სჯეროდათ ბოლშევიკების უნიადაგობა საქართველოში და დემაგოგიურათ მოითხოვდენ დაუყონებლივ საბჭოების მოწვევას. მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ ერთხელ კიდევ დაარწმუნა ეს ვაჟბატონები და საბოლოოთ გამოაშკარავა აქამდი გონება მოშხამულ მშრომელთა ზოგი წრეებისათვის, რომ ხალხის ფართო მასების ინტერესების ერთად ერთი ჭეშმარიტი გამომხატველი მხოლოდ კომუნისტური პარტიაა. ამის საუცხოვო დამამტკიცებელია ამ დღეებში თბილისის საბჭოების არჩევნები, რომლების შედეგებმაც რევოლიუციის მტრების ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ ვის მიჰყვება ნამდვილად ხალხი. საბჭოთა ხელისუფლების 9 თვის არსებობა საკმარისი შეიქნა, რომ მის რეალურ პოლიტიკას და ცხოვრების სინამდვილეს მთელი რევოლიუცია მოეხდინა ფართო მასების გონებაში და ერთიანად დაემსხვრია ყალბი წარმოდგენა ბოლშევიკებზე. საარჩევნო კომპანია ამ მხრივ მდიდარ საილიუსტრაციო მასალას იძლევა იმ კრებებიდან, რომლებსაც მრავალი მუშა-მოსამსახურე ესწრებოდა და ჯერ არ ნახული საერთო ენტუზიაზმით, ხშირათ ერთხმად, ხმას აძლევდენ კომუნისტური პარტიის კანდიდატებს. მენშევიკ-ფედერალისტების გამოსვლა კრებებზე და მოწოდებები სამარცხვინოდ გათავდა. წინაალმდეგ, ზოგიერთ კავშირებში, როგორც მაგალით. მბეჭდავებისა, ტრამვაის, არსენალის და სხვ. მუშები, რომლებშიდაც საკუთარი კლასიური ინტერესების შეგნება უფრო ძლიერადაა გამოხატული, ასეთ მოწოდებებს უპასუხებდენ მრავალრიცხოვან კრებებით და რამოდენიმე დღის განმავლობაში ეს დიდი კამპანია თბილისის მშრომელთა რევოლიუციონური მასების ბრწყინვალე გამარჯვებით ბოლოვდება არც ერთი ხმა გამყიდველ მენშევიკებს! აი, თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგები.

რას ნიშნავს ეს? რასაკვირველია, ეს არაა რაიმე ძალადობის ან მარტო აგიტაციის ნაყოფი. გადამჭრელი როლი მასების ფსიქოლოგიურ გარდატეხაში ითამაშა განსაკუთრებით საბჭოთა ხელის უფლების სახელმწიფოებრივმა აღმშენებლობამ და სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით რეალურმა პოლიტიკამ, რომელიც ერთიანად მიმართული იყო ერთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლათ და მშრომელი მასების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ის იყო მშრომელთა საქმიანი პოლიტიკა და ამიტომ მისმა სინამდვილემ ყოველგვარ აგიტაციაზე უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა.

დღეს ყველა ჩვენი მტერ-მოყვარისთვის ცხადია, რომ „ბოლშევიზმისაგან განკურნებული“ საქართველოს მშრომელი მასები საბოლოოდ გამოერკვენ მენშევიკების მიერ სისხლისა და შხამით ოდესღაც გაჟღენთილ მდგომარეობას და ერთსულოვანი საარჩევნო დემონსტრაციით თავის დიდი ნდობა ჩააბარეს პროლეტარიატის ინტერესების ერთად ერთ ჭეშმარიტ დამცველს—კომუნისტურ პარტიას.

ან—ი.

არჩევნები თბილისის საბჭოში

რკინის გზაზე.

არჩევნები ამიერ კავკასიის რკინის გზაზე დამთავრდა ყველგან. მთავარ სახელოსნოებში შესდგა საერთო კრება რომელსაც 2000 კაცზე მეტი დაესწრო. კომპარტიის სიით არჩეულ იქნენ კომუნისტები და უპარტიონი. საზოგადო კრებები გაიმართა აგრეთვე დეპოში, ტფილისის სადგურზე და რკ. გზის მთავარ სამმართველოში. კომპარტიის სიით არჩეულ იქმნენ კომუნისტები და უპარტიონი.

ქალ. რევკომი და კომუნმეურნეობის ერთი ნაწილი.

6 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის რევკომის და კომუნალურ მეურნეობის ერთი ნაწილის მოსამსახურეების და მუშების საზოგადო კრება შესდგა რომელსაც დეპუტატები უნდა აერჩია ტფილისის მუშათა და წითელ ლაშქართა საბჭოში. ერთხმად გავიდა, კომფრაქციის მიერ წარმოდგენილი კანდიდატთა სია: ამხ. ა. გეგეჭკორი, გრ. გოგიტაშვილი, დ. ბაქრაძე გეიდენი და კაზაჩკინი.

———

არჩევნები საბჭოში ყველგან დასრულდა, გარდა სოც. კულტურის მუშაკთა კავშირისა. არჩევნების ნამდვილ შედეგებს არკვევენ.

ფედერაციისთვის

საქართველოს პროფსაბჭოს მიმართვა

ს. პ. კ. ს. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაუგზავნა კავშირების და სამაზრო პროფბიუროების ყველა ცენტრალურ გამგეობებს შემდეგი მიმართვა.

ძვირფასო ამხანაგებო

იმ დროს, როდესაც რუსეთის მშრომელთა მასსებმა მოიშორეს კაპიტალის და მის დამქაშების სოციალ-გამცემლების უღელი და მედგარ ბრძოლას აწარმოებდნენ თავის პროლეტარულ ხელისუფლების განსამტკიცებლათ, აქ, ამიერ-კავკასიაში, მისმა უმაღლესმა ორგანომ, შედგენილმა ყველა ჯურის ნაციონალისტებისაგან, გამოაცხადა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, რომელიც მერე ოსმალეთის ფაშებისა და ევროპის იმპერიალისტების ძალდატანებით გაიყო სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ.

როგორი იყო ეს დამოუკიდებლობა,—ეს ყველამ კარგათ იცის,—ეს იყო ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების დამოუკიდებლობა რ. ს. ფ. ს. რ. მშრომელთა მასსებისგან და სრული დამოკიდებულება, უფრო მეტი, სრული მორჩილება ევროპიელ მტაცებლებისაგან, რომლებიც ცდილობდენ რ. ს. ფ. ს. რ. და ამიერ-კავკასიის შორის ჩინეთის კედლის აღმართვით ერთი მხრით დაესუსტებინათ რუსეთის პროლეტარიატის ძალა, ხოლო მეორე მხრით შეეჩერებინათ მძლავრი რევოლიუციონური მოძრაობა, რომელსაც შეუძლიან ევროპის ბურჟუაზიულ წეს-წყობილების საფუძვლების შერყევა.

სწორეთ ამ აზრით ამიერ-კავკასია დააქუცმაცეს წვრილ, ნაციონალიზმით გაჟღენთილ სახელმწიფოებათ, რომელთაც აერთებდა მხოლოთ ერთი საზოგადო მიზანი—ბრძოლა რუსეთის მშრომელთა წინაალმდეგ.

დანარჩენ საკითხების გარშემო ამ სახელმწიფოებში წარმოებდა ერთმანეთზე წასისინება, მეზობელ ერებს ერთმანეთს უსევდნენ; გაიხსენეთ სამარცხვინო სომხეთ-საქართველოს ძმათა მკვლელი ომი. ამ ორ ერს მეფის რეჟიმის დროსაც კი, რომელსაც ლოზუნგათ ჰქონდა—გაყავ და იბატონე, არ დაურღვევიათ ერთმანეთის მყუდროება, აწარმოებდნენ ისეთ ტაქტიკას, რომელსაც მრავალ მიზანთან ერთათ—ჰქონდა ერთი განსაკუთრებული მიზანიც—თავიანთ მშრომელთა კლასების ყურადღება მოეშორებინათ როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური შინაგან საკითხებისგან.

მხოლოთ ამა წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოახერხა აქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და ამით დაამთავრა მთელი ამიერ-კავკასიის გან-

საბჭოება, მხოლოდ მაშინ მშრომელთა ნებისყოფის გამოჩენით სასიკვდილოთ დაიჭრნენ საქართველოს ნაციონალისტური ელემენტები და საძირკველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძმურ გაერთიანებას.

დღეს რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს ბრძნული გადაწყვეტილებით, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით მიეგებნენ მთელი საქართველოს ფართე მასსები, პოლიტიკურათ ჩამოყალიბდა ის, რაც უკვე თებერვალში მოხდა, სახელდობრ შეიქმნა მთლიანი მშრომელი ოჯახი მთელი ამიერ-კავკასიისა, რომელსაც შეუძლიან თავის უფროს დასთან რუსეთთან ერთათ დაუპირდაპიროს მთელი მსოფლიოს ჯალათებს თავისი მთლიანი შედუღებული რკინის ხელისუფლება.

მაგრამ რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს გადაწყვეტილება არა კმარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის განსახორციელებლათ და გასამტკიცებლათ. აუცილებლათ საჭიროა, რომ მთელი ამიერ-კავკასიის და კერძოთ მთელი საქართველოს ყველა მშრომელებმა პრესსაში და გულახდილათ გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ თვით რევოლიუციის ისტორიით გამოწვეულ, ამიერ-კავკასიისთვის მეტად სასიცოცხლო ისტორიულ ფაქტის შესახებ.

აი ამ აზრით აუცილებლათ საჭიროა საქართველოს მშრომელთა ყველა კონფერენციებსა და კრებებზე დადგეს საკითხი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და მოისმინონ ფართო მშრომელთა აზრი.

შემდეგ აუცილებლათ საჭიროა მშრომელთა მასების განხილვის საგნათ გახდეს აგრეთვე ამიერ-კავკასიის პროფ-წარმოებათა კავშირების გაერთიანება, რომელიც ბუნებრივათ გამომდინარეობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციიდან.

პროფესიონალური კავშირები, რომლებიც ამ ჟამად მისდევენ უფრო წარმოებით მიზნებს, ვიდრე ვიწრო-პროფესიონალურს, რომელთაც წილად ხვდათ მთელ საქმე სამეურნეო ფრონტის აღდგენა, სძლევენ ამ სიძნელეს მხოლოდ თავიანთ ძალების გაერთიანებით, რასაც მოჰყვება მთელი ამიერ-კავკასიის პროფ-წარმოებათა კავშირების გაერთიანება.

მხოლოდ საერთო მეცადინეობით აღდგენილი ფრონტი გააძლიერებს პოლიტიკურად ჩვენი კომუნისტური აღმშენებლობის საფუძვლებს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პროფ-წარმოებით კავშირების გაერთიანებას.

თავმჯდომარე **დუმბაძე.**

საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე **ოდილავაძე.**

შორაპანი.

მოისმინა რა ამხ. გ. მჟავანაძის მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, შორაპან. მრავალ-რიცხოვანი მიტინგი სცნობს აუცილებლად როგორც ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასების გაერთიანებას, ისე მთელ ამიერ-კავკასიის მჭიდრო შეკავშირებას რუსეთის მშრომელ ხალხთან და ფიცსა სდებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლებიან ყოველგვარ გამთიშავ ძალებს. ასეთი შეკავშირება საბჭოთა რესპუბლიკებისათვის წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას. პატარა ერების არსებობის დაცვა და განვითარება შეიძლება მხოლოდ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების ძმური კავშირით.

გაუმარჯოს ყველა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარულ ძალების განვითარებას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

მიტინგის თავმჯდომარე **ალ. ქებაძე.**

ჭიათურა.

მოისმინა რა ამხ. მჟავანაძის მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულ კავშირში გაერთიანების შესახებ, ქ. ჭიათურის კაპტორგანიზაციის საერთო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საერთო კრება ერთხმად გამოსთქვამს თავის სრულ კმაყოფილებას და სცნობს საკითხს ზემო-ხსენებულ რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ სრულიად დროულად და საჭიროთ.

ამიერ-კავკასიის გაერთიანებას მოჰყვება ეკონომიური აღორძინება, ნაციონალური სოლიდარობის დამყარება და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება.

სამტრედია.

სამტრედიის რკინის გზის დეპოს და საბჭოთა დაწესებულების მუშამოსამსახურეების კრებამ მოისმინა კომპარტიის ცეკას წარმომადგენლის ამხ. სტურუას მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის შესახებ, სასურველად და მიზანშეწონილად სცნობს კავბიუროს ამ გადაწყვეტილებას. დღევანდელ პირობებში ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალების გაერთიანება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს არსებული კრიზისის დასაძლევად.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

კრების თავმჯდომარე **კიკაჩეიშვილი.**

ჩოხატაურის რაიონი.

ჩოხატაურის რაიონის მუშებისა და გლეხების კრებამ, რიცხვით 2,000 კაცმა, მოისმინა მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, მიიღო მხედველობაში ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო იმპერიალიზმის პოლიტიკა და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ინტერესები, სავსებით იზიარებს კომუნისტური პარტიის ამ დადგენილებას ფედერაციის შესახებ და მთელი ძალღონით შეეცდება განახორციელოს ის ცხოვრებაში.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას"!

კრების თავმჯდომარე **ნ. ზამბახიძე.**

ლანჩხუთი.

ლანჩხუთის, ნიგოითის, ჩიბათის და შუხუთის მუშებისა და გლეხების საერთო მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 2,500-დე კაცი და ქალი, მოისმინა ამხ. ნ. ლღვავას მოხსენება საქართველოსა, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სავსებით იზიარებს კომუნისტურ პარტიის დადგენილებას და ეცდება გაატაროს ის ცხოვრებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის წინსვლას"!

საბჭოთა რუსეთი და ფინეთი

მოსკოვი. 8 დეკემბერი, (რადიო). რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ფინეთის მთავრობისაგან ნოტა, რომელიც იუწყება, რომ ფინეთმა, როგოროც ხალხთა ლიგის წევრმა, მიმართა ამ უკანასკნელს და აცნობა, რომ აღმოსავლეთ კორელიის მცხოვრებლებმა შეიარაღებული ამბოხება მოახდინეს. ისინი ჩივიან რომ ვითომცდა საბჭოთა მთავრობა შევიწროვებას აყენებდეს აღმოსავლეთ კორელიის მცხოვრებ ფინეთის ხალხს. ფინეთის მთავრობა სთხოვს ხალხთა ლიგის საბჭოს განიხილოს აღმოსავლეთ კორელიის საკითხი და დანიშნოს კომისია საქმის გამოსარკვევად.

ამ ნოტის საპასუხოდ რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა ფინეთს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა: „ფინეთის მიმართვა, ხალხთა ლიგისადმი, ნიშნავს უცხო სახელმწიფოთა ჩარევის ცდას, რ. ს. ფ. ს. რ. შინაურ საქმეში. ეს იქნებოდა.

ცდა მოკავშირე სახელმწიფოებისა, რომელიც თავის თავს ხალხთა ლიგას უწოდებს და რომლის შემადგენლობაშიც შედიან რუსეთისადმი აშკარად მტრულად განწყობილნი სახელმწიფონი, როგორც მაგალითად საფრანგეთი, რომელიც მონაწილეობას იღებდა რ. ს. ფ. ს. რ. ყოველგვარ საწინააღმდეგო მოქმედებებში და იაპონია, რომელმაც ამ ჟამად მოახდინა ჩვენი მოკავშირე შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ერთ ნაწილის ოკუპაცია. აგრეთვე წინადადება კომისიის დაარსების შესახებ კორელიის საკითხის გამოსარკვევათ ნიშნავს რ. ს. ფ. ს. რ. სუვერენულ უფლებების შელახვის სურვილს და მის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილზე მტრულ სახელმწიფოების შემოსევას. ნოტა გულის წყრომით უარყოფს ლიგის მიერ საკითხის გადაჭრის ყოველ გვარ შესაძლებლობას რ. ს. ფ. ს. რ. სუვერენულ ნაწილს შინაურ მოწესრიგების შესახებ. ფინეთის მთავრობის მიმართვა, ეგრედ წოდებულ ხალხთა ლიგისადმი წარმოადგენს მტრულ აქტს, რომელიც არღვევს იურიევის საზავო ხელშეკრულებას. აღნიშნავს რა მთელ რიგ ფაქტებს, თუ როგორ აწყობს ფინლიანდიის მთავრობა თვის ტერიტორიაზე ბანდებს, რომელნიც აღმოსავლეთ კორელიაში თარეშობენ, ნოტა ჰკიცხავს ფინლიანდიის მთავრობის პროვოკაციულ ცრუ მოწოდებას ხალხთა ლიგისადმი, რომლის მიზანია ევროპის საზოგადოებრივი აზრის აღძვრება რუსეთის წინააღმდეგ; ამიტომ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა ფინლიანდიის მთავრობისაგან მოითხოვს შემდეგს: 1) კორელის მშრომელ კომუნის უზრუნველსაყოფად ბანდების თავდასხმისაგან დაჰკეტოს ნამდვილად საზღვრები, 2) რ. ს. ფ. ს. რ. და კერძოდ კორელიაზე თავდასხმის ორგანიზაციის მოსაწყობად მოუსპოს ყოველგვარი მატერიალურ და მორალურ დახმარების საშუალება კერძო პირებს, რომლებიც ამ თავდასხმას მეთაურობენ, 3) დაშალოს რ. ს. ფ. ს. რ. და კერძოდ კორელიაზე თავდასხმაში მონაწილე ორგანიზაციები, რომლებიც მოეწყო ფინეთში რუსეთის კონტრ - რევოლიუციონერების მიერ და განდევნოს თვის ტერიტორიიდან ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ნოტა აფთხილებს ფინლიანდიის მთავრობას, რომ თუ იგი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნილებას, რუსეთის მთავრობა იძულებულ გახდება დაადგეს იმ გზას, რომელიც ნამდვილად უზრუნველჰყოფს ფინეთის მთავრობის მიერ რ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულების განხორციელებას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

წითელ ლაშქრის დემობილიზაციისათვის.

მოსკოვი, 8 დეკემბერი. (რადიო). რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ბრძანება 1921 წლ. 3 დეკემბრის თარიღით.

წითელ ლაშქრის უკვე მომხდარ დემობილიზაციის გამო და იმ გარემოებისდა მიხედვით, რომ საჭიროა სოციალურ მზრუნველობის ქვეშ მყოფი ოჯახების რიცხვიდან გამორიცხვა, იმათი, ვინც, მრჩენელთა დემობილიზაციის გამო, სოციალურ უზრუნველყოფის უფლება დაკარგეს, რესპუბლიკის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო და სოციალ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ბრძანებს: 1. მოხდეს მთელ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში წითელ ლაშქრელ ოჯახების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ აღრიცხულ იქნეს შემადგენლობის ნამდვილი რიცხვი. 2. წითელ ლაშქრის და ფლოტის ნაწილებმა, დაუყონებლივ, ამ ბრძანების მიღებისათანავე, ყველა წითელ ლაშქრელებსა და სამხედრო მეზღვაურებს უნდა დაურიგონ შემდეგი ფორმის მოწმობანი: „მიეცა წითელ ლაშქრელს, სამხედრო მეზღვაურს (სახელი, მამის სახელი გვარი) ეს მოწმობა, რომ იგი ნამდვილად მსახურობს სამხედრო სამსახურში (ამა და ამ ნაწილში) და უპირავს თანამდებობას (აღინიშნოს). იღებს ჯამაგირს სამწყობრო, საადმინისტრაციო სამეურნეო ტარიფის მიხედვით. აღინიშნოს ნამდვილი მისამართი. ეს მოწმობა მიცემულია სოციალურ დახმარების განყოფილებაში რეგისტრაციის ხელახლად მოსახდენად. 3. ამ მოწმობის გაცემა უნდა დამთავრდეს 1921 წლ. 31 დეკემბრამდე. 4. ეს მოწმობები წითელ ლაშქრელებმა მიღებისათანავე უნდა გადუგზავნონ ოჯახს სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარსადგენად ხელახალ რეგისტრაციის მოხდენის დროს. 5. იმ ოჯახს, რომელიც მოწმობას არ წარადგენს, ულუფის მიღების უფლება ესპობა 1922 წლის 21 იანვრიდან. **შენიშვნა:** ის ოჯახები, რომელნიც მოწმობას 1 იანვრის შემდეგ წარადგენენ, ულუფა დაენიშნებათ დღიდან მოწმობის წარდგენისა. 6. წითელ ლაშქრელ ოჯახების რეგისტრაციის და აღნუსხვის დროს, სოციალურ დახმარების გამგეობანი და სამხედრო კომისარიატები სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებს დახმარებას უწევენ ტეხნიკურ აპარატის გადაცემით მათ განკარგულებაში. 7. ამ ბრძანების თავის დროზე და სისრულით ასრულების პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირადად ნაწილების უფროსთ და სოციალ უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეებს. 8. რეგისტრაციის მსვლელობას და მის შედეგების შესახებ სოციალურ უზრუნველყოფას საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებანი უდგენენ ტელეგრაფით ანგარიშებს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს. 9. ეს ბრძანება გატარებულ უნდა იქნეს ტელეგრაფით.

რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **სკლიანსკი.**

სოციალურ დახმარების სახალხო კომისარი **მ.ხოტინი.**

1922 წლის ბიუჯეტი.

მოსკოვი. 8 დეკემბერი. (რადიო). რ. ს. ფ. ს. რ. 1922 წლის ბიუჯეტის შესახებ ამხ. შმიტი გაზ. „უწყებებში“ სწერს შემდეგს: „4 წლის გამოცდილება შეძლებას გვაძლევს ახალ, მტკიცე და მეცნიერულად დასაბუთებულ საფუძველზე ავაშენოთ ჩვენი ბიუჯეტი.

1922 წლის ბიუჯეტი უნდა ჩაითვალოს გეგმა შეწონილ ბიუჯეტად რევოლიუციის მთელ ხანაში; ბიუჯეტი სრულიად განსხვავდება წინანდელისაგან. ეს განსხვავება შემდეგში გამოიხატება: შემოსავალ გასავლის მთელი ანგარიშები შედგენილია ომამდე არსებულ კურსის მიხედვით.

კრედიტები იხსნება საბჭოთა ქაღალდის ფულით, იმ დროინდელ კურსის მიხედვით, როდესაც ხდება თითონ გასავალი. ეხლა ვერავითარი მანეთის ფასის დაცემა ვერ შეავიწნებს. ყოველმა წარმოებამ იცის თუ რამდენი ერგება მას ომამდე არსებული მანეთი. ამაზე მეტს ის ვერ მიიღებს. ახალ ბიუჯეტის მეორე დამახასიათებელი თვისება გამოიხატება სწორ წონასწორობის გატარებაში მომავალ შემოსავლისა (უნდა შევიდეს ემისიით მიღებული) და გასავლის შორის ემისია და ფულის შემოსავალი ერთად უდრის—340 მილიონს ომამდე არსებულ მანეთით. დანარჩენი რესურსები (ნატურალური) ითვლება ფულის სახით, მაგრამ ანგარიშის გასწორება ხდება.

უფულო გადასაგზავნ ბარათებით ამ 240 მილიონის ხელშეუხებლად,

საერთაშორისო მდგომარეობა

(ამხ. სერ. ქავთარაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს რევოლიუციურ კომიტეტების თავმჯდომარეთა კრებაზე)

(დასასრული*)

აი ეს მდგომარეობა, ამხანაგებო, ქმნის ისეთ პირობებს, რომელთა ანალიზი ძალიან აშკარა შედეგებს იძლევა. მე ვლაპარაკობ რომ ბურჟუაზია ყოველს საშუალებას მიმართავს რომ კრიზისს თავი დააღწიოს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ გამოსავალი არ არსებობს. ჩვენ ვემყარებით ციფრებს, რომლებიც აშკარათ ადასტურებენ ამ აზრს. ბურჟუაზიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ კიდევ შეიძლება გამონახულ იქნას საშუალება ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და ნორმალურ გაცვლა-გამოცვლის დამყარებისა. ამ საშუალებით იგულისხმება ერთად ერთი, რომელიც უფრო მიუახლოვებს ბურჟუაზიულ ევროპას მისი აღსასრულის უკანასკნელ წუთს. ეს არის იმპერიალისტური ახალი ომის გაჩაღება. და აი სწორეთ ახალი ომის საშუალებით შეეცდება ბურჟუაზია გადაირჩინოს თავი: დღეს ჰაერში თოფის წამლის და სისხლის სუნი ტრიალებს და შეიძლება ახლო მომავალში ომი გაჩაღდეს. ვაშინგტონის კონფერენცია დიპლომატიური გამოგონებაა, იმპერიალისტური განძრახვათა დასაფარავათ. როცა ჩრდილო ამერიკის პრეზიდენტმა გარდინგმა კონფერენციის წინ წინადადებით მიმართა სახელმწიფოებს, რომ საჭიროა საერთაშორისო ზავი, განიარაღება და საბოლოო მშვიდობიანობის ჩამოგდებაო. ამაზე ინგლისმა საზეიმო პასუხი მისცა და მასთან ერთად 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასდვა სამხედრო გემების ასაშენებლად. ამის მოტივათ ის იყო მოყვანილი, რომ იაპონია უკვე აშენებს რვა დრედნოუტს, რომელნიც მზათ იქნებიან 1925 წელში და განძრახვა აქვს კიდევ რვა ახალი დრედნოუტი ააშენოს. შეერთებულ შტატებს კი 1925 წელში ექნება 12 ზღვის კოლოსი.

ეს მოტივები მოყვანილია იმ მოთხოვნაში, რომელიც სამხედრო უწყებამ წარუდგინა ინგლისის მთავრობას. ამავე დროს გარდინგის წინადადებაზე იყო თანხმობის პასუხი განიარაღების მშვიდობიანობის და ზავის შესახებ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ვაშინგტონის კონფერენციის ინიციატივა თავზე აიღო ამერიკამ. ის გამოდის მოციქულად განიარაღებისა და ხალხთა შორის კეთილ განწყობილების დამყარებისა. ეს საქციელი ადვილი ასახსნელია. ნაციათა ლიგაც ამერიკის ინიციატივით შესდგა ვილსონის მეთაურობით, თუ გახსოვთ.

მაგრამ მან თვითონ მასში არ მიიღო მონაწილეობა, რადგან ინგლისს ჰქონდა 6 ხმა და ხმის უმრავლესობის შედგენით ადვილათ შეეძლო თავის სურვილისამებრ გადაეჭრა საკითხები. ახლა ახალი კომბინაციები იქნება ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევით და აქ ამერიკას უნდა ერთად-ერთი მოკარნახე თვითონ იყოს; ასე რომ პირველათ ამერიკამ მოიწადინა ნაციათა ლიგის საშუალებით მთელი მსოფლიო მართველობის საქმის ხელში ჩაგდება, მაგრამ ეს რომ ვერ მოახერხა ვერც ფაქტიურად და ვერც დიპლომატიურათ, ამიტომ ეხლა ცდილობს ვაშინგტონის კონფერენციაზე განახორციელოს თვისი გეგმები და ხელში ჩაიგდოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი. ამერიკა სავსეა სიმდიდრით. ოქროში იხრჩობა, გარდა ამისა მან ისეთი სამხედრო ფლოტი შექმნა, რომ ინგლისსა და იაპონიას გაასწრო. 22 წლისათვის საზღვაო საომარი ფლოტი მას მეტი ექნება ვიდრე ამ ზემოხსენებულ სახელმწიფოებს ერთად. ამას ინგლისის პრესაც აღნიშნავს. ვაშინგტონის კონფერენციის ანალიზი არის მთელი თანამედროვე პოლიტიკის ანალიზი ამ კონფერენციაზე ჩუმი ბრძოლისათვის ემზადებიან, სწარმოებს აწონდაწონა სხვა და სხვა სახელმწიფოების მიერ თავისი ძალებისა. ეს არკვევს მთელ სულსა და გულს დასავლეთ ევროპის კულტურულ ქვეყნების მდგომარეობისა და მომავლისა. ამერიკა, როგორც იცით არის უფრო ახალი კაპიტალისტური ქვეყანა, ეკონომიურათ რომ დავახასიათოთ ის არის ნახევრათ აგრარული და ნახევრათ კაპიტალისტური. იქ დიდძალი ხალხია დაბანდებული სოფლის მეურნეობაში. ამიტომ ამერიკა ორნაირად არის დაინტერესებული ექსპორტში. ჯერ ერთი მისთვის აუცილებელია გატანა ფაბრიკატებისა და მეორე მხრით აგრარულ ნაწარმოების, ნედლი მასალის და სხ... ორივე ნაწილი, როგორც აგრარიები, ისე მრეწველები დაინტერესებული არიან ახალი ბაზრის მოძებნაში; ამერიკისათვის ხელსაყრელი არ არის ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოების განადგურება, იმიტომ რომ ესენი იყვნენ საუკეთესო მომხმარებელი და გამსაღებელი, როგორც პურისა და სურსათის, ისე ფაბრიკატებისა. მეორეს მხრით, ამერიკის კაპიტალისტები და ფინანსისტები დაინტერესებული არიან კაპიტალს გზა უშოვნონ მოიგონ პროცენტები და თავისი სიმდიდრე უცხო ქვეყნებში ჩასთესონ. აქ არის ორნაირი მიდრეკილება, ერთი მხრით ამერიკის კაპიტალი მიილტვის შორეულ აღმოსავლეთისკენ, სადაც ის ფრთებს გაშლის და საშუალება ექნება ახალი კონცესიების აღებისა. აგრარული ნაწილი კი ცდილობს, ევროპის სახელმწიფოები არ განადგურდეს, რათა დაგროვილი სურსათი სიმინდი, პური და სხ. საწყობებში არ დარჩეს და არ დალპეს. ამ ორ ეკონომიურ ფაქტზე შენდება დიდი ამერიკის ეკონომიური პოლიტიკა. ამავე დროს ინგლისის მდგომარეობა უარესდება. ინგლისი ომამდე ემყარებოდა თავის დიდ კოლონიებს. ქარტაზე რომ ავიღოთ თვით ინგლისი მეტად პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც როგორც პატარა ობობა მისჯდომია დიდ სხეულს და სისხლსა სწოვს. მის ხელში არის ინდოეთი, სამხრეთ-აფრიკა და სხ. ისეთი კოლონიები, რომლებიც თავისი სივრცით ისეთ დიდ ტერიტორიას წარმოადგენს, რომ ინგლისი მართლაც უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სპილოს ზურგზე მჯდომი ობობა. ექსპლოატაციის და ფაბრიკატების გასაღების მხრივაც ინგლისი ამ კოლონიებს ემყარებოდა. ომის დროს მან ავტონომია მისცა კოლონიებს. მან მისცა უფლება, რომ კოლონიებმა მონაწილეობა მიიღონ ომის საკითხების გადაწყვეტაში. შემდეგ ეს უფლება იმდენად გამტკიცდა კოლონიებში, იმდენად გაუჯდა მათ ძვალ-რბილში, რომ მისი მოსპობა შეუძლებელი შეიქნა. ამავე დროს კოლონიებმა შექმნეს საკუთარი არსებობის წყარო. მათ ბევრი მასალა ჰქონდათ და კაპიტალის წარმოების ისეთი ქსელი მოაწყეს, რომ თავიანთ ყველა მოთხოვნილებებს თითონვე იკმაყოფილებენ. ასე რომ ამ დიდმა ორგანიზმმა იგრძნო, რომ ეს პატარა ობობა მისთვის საჭიროებას აღარ წარმოადგენს. ეს იწვევს იმ გარემოებას, რომ ინგლისს აღარ შეუძლია მთელი თავისი იმედებით დაეყრდნოს კოლონიებს და ბრმა იარაღათ გამოიყენოს ისინი. ამგვარათ ეს ნიადაგი ინგლისისა შეურყეველია. ბრიტ. კოლონიები იმდენათ შორს მდებარეობენ, რომ არ იღებენ მონაწილეობას კონტინენტის საქმეში. ავსტრალიამ თავი დამოუკიდებლათ იგრძნო და იაპონიაში იგი ხედავს თავის საკუთარ მტერს წყნარ ოკეანეში. კანადა მიილტვის შეერთებულ შტატებისკენ. ამნაირათ მთელი ეს კოლონიების ორკესტრი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო ინგლისის ძლიერება, შეიცვალა და ამან ფრიად შეარყია ინგლისის მდგომარეობა. ამის შემდეგ ინგლისი ეძიებს ამხანაგს, მეგობარს და მოკავშირეს. დღესდღეობით ის ერთ პოლიტიკას ადგია. შორეულ აღმოსავლეთში დიდი ინტერესთა წინააღმდეგობა არის.

ამერიკის კაპიტალისტებისათვის აუცილებლად საჭირო არის, რომ ისინი წავიდნენ ჩინეთში ან ციმბირში, სადაც ბატონ-პატრონათ ცნობს თავს იაპონია, რომელიც ამ ომის დროს დაწინაურდა, გაამუჯობესა თავისი ეკონომიური მდგომარეობა და ახლა არ უნდა, რომ ჩინეთში ამერიკას პირველობა დაუთმოს. ასე რომ იაპონიის და ამერიკის ინტერესები ერთმანეთს ეხლება და საკითხი მწვავეთ სდგას: რომელიმემ პირველობა უნდა დაისაკუთროს. ინგლისისათვის ეს წინააღმდეგობა ხელსაყრელია და იგი ცდილობს, რომ მესამე პირის როლი ითამაშოს, ის იყოს შუამავალი მათ შორის. მაგრამ აშკარა არის, რომ ინგლისი უნდა შეუკავშირდეს ან ამერიკას იაპონიის წინააღმდეგ, ან იაპონიას ამერიკის წინააღმდეგ. მარტო ინგლისს საკუთარი პოლიტიკის წარმოება აღარ შეუძლია. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისმა საფრანგეთთან და ამერიკასთან შედარებით მეორე ადგილი დაიჭირა. წინააღმდეგობა არსებობს ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ეს წინააღმდეგობა უმთავრესი ღერძია იაპონიის და ამერიკის ურთიერთობაში. ინგლისი იაპონიას ეხმარებოდა, მაგრამ ეხლა გამოიცვალა გზა და ცდილობს საფრანგეთთან დაახლოვებას. საფრანგეთის კაპიტალისტების ბურჟუაზიის ძირითადი დებულება არის რომ ისინი გაბატონდნენ და მათ ჰქონდეთ ეკონომიური და პოლიტიკური პრიორიტეტი მთელი ევროპის კონტინენტზე. ეს მისწრაფება საფრანგეთისა პირველობისაკენ ეჯახება ინგლისის ინტერესებს და ამიტომ ინგლისს და საფრანგეთ შორის ჩნდება განხეთქილება. ფაქტები მაჩვენებელია იმისა, რომ მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა უნდა გაიზარდოს. საფრანგეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც ყველაზე მეტი მოიგო ომისაგან. თქვენ გითხარით, თუ რამდენი ოქრო ერგება საფრანგეთს გერმანიის კონტრიბუციიდან. ამას გარდა ვერსალის ხელშეკრულობით საფრანგეთს გადაეცა პოლონეთი, რუმინია და ჩეხო-სლოვაკია, არა ტერიტორიალურად—შემოერთებისათვის, არამედ საექსპლოატაციოდ. ჩვენ ვიცით, რომ რუმინიაში და პოლონეთში საფრანგეთის პოლიტიკა სწარმოებს. გარდა ამისა, ვერსალის ხელშეკრულებამ საფრანგეთს დიდი უპირატესობა მისცა იმ მხრივაც, რომ მას გადაეცა ჩრდილოეთი სილეზია. ეს ფაქტები რომ ავკინძოთ, ჩვენ საფრანგეთი წარმოგვიდგება როგორც მძლეთა-მძლე სახელმწიფო მთელი ევროპის კონტინენტზე. გერმანია აღარ არსებობს. გერმანიის სიმდიდრის უდიდესი ნაწილი საფრანგეთის ხელშია. გერმანიის განიარაღების საკითხში ინგლისი ძალიან მოსტყუვდა. ეს მან ბოლოს იგრძნო, იგი შემდეგ დარწმუნდა, რომ მან შეცდომა ჩაიდინა, რომ საჭირო იყო ევროპაში ისეთი ძალის არსებობა, რომელიც საფრანგეთს მეტოქეობას გაუწევდა და ამიტომ ინგლისისათვის საფრანგეთი საშიში აღარ იქნებოდა. ამ მხრივ ბრიანის პოლიტიკამ აჯობა ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკას. ინგლისი მხოლოდ ეხლა გრძნობს, რომ საფრანგეთის გაძლიერებაში თვითონვე მიიღო დიდი მონაწილეობა და ამით დიდი საფრთხე შეიქმნა თავის თავისთვის. სილეზიის საკითხში ინგლისმა დიპლომატიური ყალთაბანდობა დაიწყო. მას უნდოდა ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური.

ამხანაგებო! რადგან ჩვენ პირველათ ვხვდებით აქ ერთმანეთს, მე მინდოდა ვრცელი მოხსენება გამეკეთებია. მაგრამ მოხსენება ძალიან გაგრძელდა და ეხლა წვრილმან საკითხებს აღარ შევეხები. რამდენიმე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იაპონიის შესახებ. თქვენ იცით, რომ ამერიკამ ამ ომში ძალიან მოიგო, იგი გახდა კრედიტორი მთელი ევროპის სახელმწიფოებისა. ამ ომში იაპონიამაც ისარგებლა. როდესაც გერმანია ომში იყო გართული იაპონია დაეპატრონა შორეულ აღმოსავლეთში გერმანიის კოლონიებს, (კიაუ-ჩაუ, შანტუნი), რომელნიც გერმანიას ჰქონდა საგარეო ბაზრისთვის და აზიურ პოლიტიკის საწარმოებლად. იაპონიამ ეს ადგილები ჯიბრიულად, მიპარვით ხელში ჩაიგდო, იქ გერმანიის დიდ სიმდიდრეს დაეპატრონა და ჩინეთს მიადგა სადაც თავის ეკონომიურ დიქტატურას ახორციელებს. ჩინეთი მან თავის სანავარდო სარბიელათ გადააქცია. იაპონია აქამდე იყო ჩინეთის ბატონ-პატრონი. დიდი სახელმწიფოები ომიანობაში იყვნენ გახვეულნი,—იმდენ ყურადღებას ვერ აქცევდენ ამ გარემოებას და ამისათვის საკმაო ძალის გამოყოფა არ შეეძლოთ. მაგრამ ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. იაპონიამ ყურები წამოცქვიტა და იგრძნო, რომ შეერთებული შტატები ცდილობს მის შებორკვას. მან იცის, რომ ამერიკა აუცილებლად მოიწადინებს ჩინეთის ხელში ჩაგდებას და თავის ბაზრათ გადაქცევას. იაპონიამ იცის, რომ შორეული რუსეთი მოგების და ექსპლოატაციის დაუშრობელ წყაროს წარმოადგენს. მან იცის რომ რუსეთი ცარიელი აუზი არის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებების. ჩინეთი და რუსეთი ამ მხრივ დიდ როლს ითამაშებენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთში ყველა შევიდა გარდა ამერიკისა. იქ გავლენის სფეროები დაყოფილი აქვსთ საფრანგეთს, ინგლისს და იაპონიას. ამერიკას კი არა. და ამერიკამ აუცილებლად ან ხელში უნდა ჩაიგდოს კაპიტალის საშუალებით ჩინეთი, ან უნდა დაიპყროს იგი, სხვა მხრივ ვერ მიაღწევს თავის მიზანს.

ცნობილია რომ ყოველნაირი დიპლომატია კაპიტალისტების ინტერესებზე აშენებული პლანი, ყოველთვის იხვევა მაღალ აზროვნების ჰუმანიურ სამოსელში. ამერიკა იმიტომ მიილტვის ჩინეთისაკენ, რომ ამას მოითხოვს მისი არსებობის საკითხი. მას ახრჩობს თავისი ოქრო, როგორც ლეგენდარულ ძუნწს, ამერიკა თვის მიზნებს არ აშკარავებს და ხვევს ძველ ფორმებში. ის ამბობს: ჩინეთის ინტერესები მოითხოვს, რომ მას ჰქონდეს ღია კარები ე. ი. ვითომ თვით ჩინეთის კეთილდღეობის პოლიტიკა მოითხოვს კარების გაღებას და საზღვრების თავისუფლებას. იმეორებს ჯონ-გეის ფორმულას „политика открытых дверей“ ამ ღია კარებით კი მას თვით უნდა ისარგებლოს და შიგ შებრძანდეს. მაგრამ რას მოასწავებს ეს იაპონიისათვის, რომელსაც შეურყევლათ გადაუწყვეტია, რომ ამ საკითხში არ დათმოს. მან ან პირდაპირ უნდა და-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც უნაწილდებათ უწყებებს განსაზღვრულ პროცენტით, როგორც მათი ხარჯაღრიცხვათა ფულის ნაწილი. აღნუსხავს რა ემისიების შესაძლებელ რაოდენობას იმ თავითვე, დამტკიცებული ბიუჯეტი წინასწარ ითვალისწინებს საზღვარს მაქსიმალურ და მოსალოდნელ ფასთა ზრდისას 1922 წლ. ოქტომბრისთვის. ამას კი სამეურნეო ანგარიშებში დიდი სიმტკიცე შეაქვს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთი

სამინისტროს კრიზისი საბერძნეთში.

მოსკოვი 8 დეკემბერი (რადიო). საბერძნეთის პარტიებსა და მთავრობას შორის დამოკიდებულება გამწვავდა. მოელიან კაბინეტის გადადგომას და ხელისუფლების გადაცემას სამხედრო წრეების ხელში. მდგომარეობა საბერძნეთში ძლიერ გართულდა. მოსალოდნელია კვლავ გადაეცეს ხელისუფლება ვენეზელოსს.

შვეცია

პანამა.

მოსკოვი 8 დეკემბერი (რადიო). მრავალ სახელმწიფო დაწესებულებებში მომხდარ რევიზიამ აღმოაჩინა ფულის და სამეურნეო დიდი ბოროტმოქმედებანი. მოელიან დიდ პროცესებს, რომელსაც თან მოჰყვება შვეციის გამოჩენილ მოხელეთა პასუხისგებაში მიცემა.

ინგლისი

უმუშავრობა ინგლისში.

ნაუენი 7 დეკემბერი (რადიო). რუსეთის ბლოკადის და რუსეთ ავსტრიის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის შედეგად უმუშავრობა ინგლისში ძლიერდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გერმანიის ბაზრის დახურვას ინგლისელ მუშებისათვის. მთელ ევროპაზე კატასტროფიულად მოქმედებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ისეთი ძლიერი სახელმწიფოები, როგორც რუსეთი და გერმანიაა, დროებით გარიყეს ეკონომიურ წარმოებიდან. ვიდრე ვალის განაღდებას მოსთხოვდენ რუსეთსა და გერმანიას, უნდა წინასწარ გამოირკვეს, შეუძლიანთ თუ არა ამ ქვეყნებს ფულის გაღება და მათი განადგურება არ დააწვება მძიმე ლოდად მთელ ქვეყნიერებას?

— ევროპის ტენდენციის წინააღმდეგ, რომ გერმანია სრულ გაკოტრებამდე იქმნეს მიყვანილი, ჩიკაგოს ფირმა „ფილდის“ თავმჯდომარის მოადგილე სიმსონმა ენერგიული პროტესტი განაცხადა. გერმანია უმწეოა. საჭიროა მისი დახმარება.

ქრონიკა

◆ **საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიიდან.** უკანასკნელ მიწისძვრათა გამო უვიცი თუ ბოროტ-განმზრახველი პირნი ავრცელებენ ქალაქში უაუნურ ხმებს, ვითომ ამა და ამ დღესა და საათს შესაძლებელია ტფილისში კატასტროფიული მიწისძვრა. ამით ეცნობება ფართო საზოგადოებას, რომ ხსენებული ხმები წარმოადგენენ უვიც ფანტაზიის ნაყოფს, ვინაიდან ამ ჟამად მეცნიერება ჯერ კიდევ მოკლებულია საშუალებას იწინასწარმეტყველოს მიწის ძვრის შესაძლებლობა.

ობსერვატორიის **დირექტორი ა. ბენაშვილი.**

◆ **წარმოდგენა სახალხო სახლში.** დღეს, 10 დეკემბერს, სახალხო სახლში პოლიტგანათლ. მთავ. მართ. ქართულ დასის მიერ წარმოდგენილ იქნება მოლიერის პიესა „ტარტიუფი“.

◆ **წარმოებითი შრომა გამასწორებელ სახლებში.** იმ მიზნით, რომ ყველა პატიმარი საღი წარმოებითი საშრომი მიეცეთ, სახალხო იუსტიციის კომისარიატის ცენტრალურმა დამსჯელ-გამასწორებელმა განყოფილებამ მიიღო ზომები, რომ საქართველოს ყველა გამასწორებელ სახლების სახელოსნოებში წესიერად დაყენებულ იქნას გარეშე თუ შინაური სამუშაოები. განყოფილებისაგან დამოუკიდებელი მთელი რიგი გარემოება აქამდე აბრკოლებდა ამ საქმეს. სახელოსნოები თუმცა არსებობდნენ, მაგრამ მათ არა ჰქონდათ საჭირო ინსტრუქტორები და მასალა დიდის გაჭირვებით შოულობდნენ ყოველ წვრილმანს. ამ ჟამათ ამ სფეროში ბევრი რამ გაკეთდა და საქმე იმართება თბილისის გამასწორებელ სახლების სახელოსნოებში: სადურგლო, საზეინკლო, სამკერვალო, სახარაზო— მოქმედებენ და შეკვეთას იღებენ როგორც დაწესებულებათაგან, ისე კერძო პირებისგან. გარეშე სამუშაოზე გადადის 100 კაცზე მეტი. განზრახვა აქვთ ამ დღეებში აამოძრაონ საპნის ქარხანა. შეუდგნენ სახელოსნოების ორგანიზაციას. სასურველია, რომ დაწესებულებანი ყველა თავის შენაკვეთებს აძლევდენ არა კერძო პირებს, არამედ უგზავნიდნენ იუსტიციის კომისარიატის ცენტრალურ დამსჯელ გამასწორებელ განყოფილებას.

◆ **ხელოვნების სასახლეში.** კვირას დეკემრის 11, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის 13 . საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის საბჭო მართავს პოეზიის აკადემიის მორიგ საღამოს. გრ. როაქიძე წაიკითხავს მოხსენებას „დიონისი საქართველოში“ დასაწყისი საღ. 7 საათ. შესვლა უფასოა.

სიმღერა შემოქმედებისა

ჩვენ გვიყურეთ! ეს ქვეყანა ჩვენია,
სისხლით მოვრწყეთ, სიცოცხლეს გვირჩევნია.
ნიადაგით ჯერ თუმც მწირობს ჩვენთვინა,
მაგრამ მერმისს მბრწყინავს ვხედავთ ჩვენწინა.
ოფლით მოვრწყავთ, შრომას გავაძლიერებთ,
ჩვენის ტანჯვით მერმისს ვაბედნიერებთ.
ჩვენ ვეგებით ხიდათ მორიგ თაობას,
წინ მივუძღვით მთელ ქვეყნის მოძრაობას.
ხელთ გვიპყრია ყოფნის ჩარხის ტარხელი,
ჯერ ბევრი გვაქვს მისთვის საკარნახელი,
და როდესაც გავხდით თვითმოძრავათა,
დავშორდებით ჩვენ მას თავისთავათა...
და ასე ვქმნით შრომის უკვდავებასა,
როცა ქვეყნად იგრძნობს ყველა შვებასა!.
მაშ, გვიყურეთ! ეს ქვეყანა ჩვენია
გახალისდით! ნურვის მოგიწყენია..

ნ. ზომლეთელი.

პატარა ფელეტონი

ანკეტების ბრალია

მაძევებენ პარტიიდან!..

ზღაპრულ კურდღელივით დამემართა.

ერთ ქვეყანაში თურმე ბრძანება გამოსცეს, რომ აქლემები უსათუოდ დაეჭედათ ნალებით. ეს ამბავი რომ კურდღელმა გაიგო, მოჰკურცხლა საზღვარ-გარეთ.

„რა მიგარბენიენებს, შენ ხომ აქლემი არა ხარო?“—ჰკითხეს.

„დაგიჭერენ, დაგჭედენ,—მოდი და უმტკიცე მერე შენ რომ კურდღელი ხარ და არა აქლემიო!“—უპასუხა მან.

გამოგდებით გამოგაგდებენ,—მოდი და უმტკიცე მერე ჩეკარევს, რომ არაფერ შუაში ხარ! ყურადღებასაც კი არ მოგაქცევს! არავითარი ფიცი-მტკიცი აღარ გიშველის!

იოტის ოდენი დანაშაულობა მაინც მიმიძღოდეს პარტიის წინაშე! მუდამ საქმიანი მომუშავე ვიყავი; არას დროს არ მიცუღლუტნია; ეკლესიაში ჯვარი არ დამიწერია, მიუხედავად იმისა, რომ ცოლი ხუთმეტი წლით ადრე შევირთე, სანამ „ზაგსი“ დაარსდებოდა და პარტიის წევრებს საყდარში ჯვარის წერას აუკრძალავდენ.

არც ერთი სხვა პარტიაში არ ვყოფილვარ, გარდა იმისა, რომელშიაც თვით ლენინი და მიხა ცხაკაია იმყოფებოდენ.

ლოთობასაც არ ვეწეოდი. მხოლოდ ერთხელ დავთვერი ამ ოცდა-ხუთი წლის წინედ. სიმთვრალეში მეზობლის ქალს წავეპოტინე საკოცნელად. როცა კოცნაზე უარი მივიღე, გაჯავრებულმა ღორს რევოლვერი ვესროლე, მაგრამ არ მომიკლავს, მხოლოდ მსუბუქად დავჭერი მაგრამ ეს არ უნდა ჩამეთვალოს დანაშაულად, რადგან მაშინ პარტიის წევრი არ ვიყავი.

მიუხედავად ჩემი ასეთი სისპეტაკისა, მაინც გამომაბურძუყებენ პარტიიდან, ეს ცხადზე-უცხადესია! ყველაფერი ეს კი დამატყდა თავს ანკეტების წყალობით,—იმ ანკეტების, რომლების საშუალებით ფიქრობენ სწორი და უტყუარი ცნობების შეკრებას!

აი, როგორ მოხდა ეს:

ჯერ კიდევ არა-ლეგალობის დროს მომცენ შესავსებათ ანკეტა. მე, როგორც გამოცდილმა კონსპირატორმა, მაინც და მაინც არ გავაჭიანურე ჩემი ისტორია და მოკლეთ მივეცი პასუხი აუცილებელ საჭირო კითხვებზე.

შემდეგ, გამოეძვერი თუ არა იატაკ-ქვეშიდან დღის სინათლეზე—ჩხოსავით მომაყარეს ანკეტები შესავსებათ: იაჩეიკამ, რაიონმა, ტეკამ, ცეკამ, პროფკავშირმა, სოვპროფმა, პაიოკის მაგიდამ და სხვამ, და სხვამ!..

მერე, იმ დალოცვილ ანკეტას შემთხზველებს, ისეთი ზნე აქვთ, რომ უსათუოთ უბედურ შემთხვევებს გეკითხებიან: როდის დაიბადე? როდის გდევნიდენ? როდის დაგიჭირეს? ცოლიანი ხარ, თუ უცოლო? და სხვა ასეთებს!

მე კი ისეთი მეხსიერება მაქვს, რომ გუშინ რა ვჭამე სადილათ, ან ვჭამე თუ არა რამე საზოგადოთ—ისიც არ მახსოვს, თორემ აბა სად დამამახსოვდებოდა ყველა ის უბედურება, რაც გადამხედია თავს ოცდა ორი წლის რევოლიუციონური მუშაობის დროს!

როდის დავიბადე, თუმცა ეს მე არ მახსოვს, მაგრამ რადგან ერთხელ ვარ დაბადებული და თან ვაჟათ და არა ქალათ, ამიტომ წლოვანების დასახელება არ მიძნელდება.

მაგრამ რანაირათ შემეძლო სხვა ათასნაირ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა მაშინაც კი, მეხსიერებაც რომ კარგი მქონებოდა?

მაგალითათ, ყველა ანკეტებზე მეკითხებოდენ—ცოლიანი ხარ, თუ უცოლოო?

ამ შეკითხვაზე სწორი პასუხის მიცემა მეტად ძნელია მას შემდეგ, რაც ქორწინ-განქორწინების საქმე მღვდლების ხელიდან ბესო კვირკელიას ხელში გადავიდა და მისი „ზაგსის“ საშვალებით ოცდა ოთხ წუთში ხდება!

რომ ცოლი მუდამ გვერდში მეჯდეს, ან მე მოუშორებლათ მასთან ვიყო, კიდევ გავბედავდი და თამამათ უპასუხებდი ცოლიანი ვარ მეთქი. მაგრამ მთელი თვეობით ხან მე მივდივარ სხვაგან, ხან ის!

თუნდა აი ეხლაც: წასულია ისეთ ქვეყანაში, სადაც „ზაგსი“ სამი წლით ჩვენზე ადრეა შემოღებული. რა ვიცი, იქნებ მოეხასიათა და ქე შეჰყვა ვინმეს ხელის მოსაწერათ ამ ახალ მოდის საყდარში! აპა რანაირათ შემიძლია ნამდვილი მართალი პასუხი მივსცე ანკეტაში, როდესაც მე თვითონ არ ვიცი ცოლიანი ვარ ახლა, თუ უცოლო?

ვითამ მივმართე ხერხს და ვსწერდი ანკეტებში ხან ცოლიანს და ხან უცოლოს,—იმისდა მიხედვით, ერთად ვიყავით, თუ ცალცალკე, მაგრამ არ გამივიდა ეს ნომერი!..

უარესი დამემართა შეკითხვაზე: როდის იყავი დევნილი და დატუსაღებულიო.

მომგონებია ახალგაზრდობის იდეალური ხანა და ერთ ანკეტაში მიპასუხნია: ცხრაას ორში, სამში, ოთხში მეთქი.

მეორე ანკეტის შევსების დროს დამდგომია თვალწინ ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციონური დრო, მოსკოვის დიდებული აჯანყებით და მომიხსენებია ბუტირკის ციხეში ჯდომა.

შემდეგში გამხსენებია პეტროგრადის „უჩასტკებში“ და „პრედვარილკაში“ სიამოვნებით, თუ უსიამოვნოთ გატარებული დრო და ამინიშნავს ცხრაას რვა, თერთმეტი, თორმეტი და ცამეტი წლები. სხვა ანკეტებში გამოვსულვარ უფრო ახლო ხანაში: ცხრამეტში და ოცში,—როდესაც ვიჯექი იქ, სადაც ეხლა მენშევიკები ზიან...

პარტიაში შესვლის შესახებ შეკითხვაზე სულ ამირევია დავთარი!

კითხვაზე,—როდის ჩაეწერე კომუნისტურ პარტიაშიო,—ერთგან უპასუხე: ცხრაას თერთმეტში მეთქი. მეორე ანკეტის შეკითხვაზე: როდის ხარ ჩაწერილი პარტიაშიო,—გავეცი პასუხი: ცხრაას ოთხში მეთქი.

რამდენი ხანია რევოლიუციონურ მუშაობას ეწევიო,—მეკითხებოდენ ერთგან. ოცდა ორი წელიწადი სრულდება მეთქი.

და აი, ეს ჩემი გულწრფელი, სინამდვილესთან შემცირებული, თორემ არა გადაჭარბებული პასუხები, იმათ, ვინც ანკეტებს არჩევენ და ადარებენ ერთმანეთს და, რომელთაც მხოლოთ ციფრების ენა ესმით, თავისებურათ გაუგიათ! როგორ გაუგიათ, ისე მოუხსენებიათ გამწმენდი კომისიისთვის, რომელსაც აქედან შესა-

---

თმის და შერცხვენილმა უკან დაიხიოს, ან ომში ჩაებას. იაპონიისათვის ეს პერსპექტივა ძალიან საშიშია. იგი მართალია მდიდარი სახელმწიფოა და ფლოტიც ყავს, მაგრამ ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლია. ამერიკა ინგლისსაც კი აშინებს. ინგლისი თუმცა ზღვის მეფეთ ითვლება, მაგრამ ეხლა უკვე აშკარათ აღიარებს რომ ამერიკასთან ბრძოლა განსაკუთრებით ზღვაზე არ შემიძლიაო. ეს მდგომარეობა ჰქმნის სხვა და სხვა კომბინაციებს და სხვა გამოსავალის ძებნას. შეერთებულ შტატებსა და იაპონიის შორის არ შეიძლება მორიგებაზე ლაპარაკი. აქ მათ შორის ლაპარაკი კატეგორიულად უნდა მოხდეს—ან დამნებდი და მთელი შენი ეშმაკობით შექნილი ქონება ჩამაბარე და გავლენა დამითმე, ან ჩაგნთქავო.. მხოლოდ ასეთი ლაპარაკი შეიძლები მათ შორის და სწორეთ აქ იწყება კოალიციის ძებნა. დღეს ინგლისი უკვე დაჩაგრულია ამერიკისაგან,—იგი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოს წარმოადგენს, როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზე. გარდა ამისა, ინგლისი როგორც ვიცით აზიური სახელმწიფოა, რადგან მთელი მისი კოლონიები და სიმდიდრე განსაკუთრებით აზიაშია და სწორეთ ამერიკის სიმდიდრის, კაპიტალის ჩანთქმაც მხოლოდ ამ აზიურ სივრცეს შეუძლია. ამერიკას სურს რომ საფრანგეთი დაუპირდაპიროს ინგლისს და ამ მიზნით საფრანგეთს ეუბნება: პირველობას შენ დაგითმობ ევროპაში, ოღონდ ინგლისი მომაშორეთ და შემდეგ იაპონიას მე თვით გაუსწორდები თავისუფლათო. მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას შემდეგ საკითხს; აქ ერთი გარემოებაა საყურადღებო. მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკა უმდიდრესი სახელმწიფო არის, ყავს უდიდესი სამხედრო ფლოტი, მას არა აქვს არც ატლანტის და არც წყნარ-ოკეანეში სტრატეგიული ბაზები და სწორეთ ამ ნიადაგზე ხდება ამერიკისა და საფრანგეთს შორის შეთანხმება. საფრანგეთს ასეთი ნავთსაყუდარი—ბაზები ბევრი აქვს წყნარსა და ატლანტის ოკეანეში. მაგალითად მისი ბაზა გიბრალტარის სრუტეში, ეს პირდაპირ უპირველესი სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზაა. ის მონახევრეა მთელი ამ სრუტისა, ბატონ-პატრონი იმ სრუტის, რომელიც ორ ნაწილს აერთებს დედამიწისას. გარდა ამისა წითელ ზღვის შესავალთან კდენის პირდაპირ აგრეთვე ინდო-ჩინეთში და სხვ. საფრანგეთი ეუბნება ამერიკას: მე ბაზების სარგებლობის უფლებას მოგცემ, ოღონდ ინგლისი ჩამომაშორეო. ასეთი მორიგება ხდება ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთს თუ მოკავშირეთ ეყოლება ამერიკა, მას ყოველ წუთში შეეძლება ინგლისის დამარცხება, მას შეუძლია პირდაპირ დესანტი გადასხას და ლონდონი აიღოს, და ინგლისის დიპლომატები დღე და ღამ ამ მდგომარეობიდან გამოსვლაზე ფიქრობენ. აი მაგალითად საფრანგეთის გაზეთი „ფიგარო“ სწერს ოქტომბრის ერთ ერთ №-ში და შემდეგ ამასვე იმეორებს ამერიკის გაზეთი „ფილადელფია ბაბლიკ ლედჟერი“: „შეერთებულ შტატებს სულ ახლო მომავალში ეყოლება უძლიერესი ფლოტი დედამიწის ზურგზე. ბაზები—კი წყნარ და ატლანტის ოკეანეში არ მოეპოება, მაშინ როდესაც საფრანგეთს შესანიშნავი ბაზები აქვს“. და სხ.

აქედან აშკარაა რომ პრესაში ისეთი აზრი არსებობს თითქოს საფრანგეთსა და ამერიკას შორის შეთანხმება უკვე არსებობდეს. ინგლისის პოლიტიკური ჟურნალი „ნეშენი“ 8 ოქტომბრის ნომერში სწერს შემდეგს: „ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ახლო მომავალში მიგვიყვანს ომამდი. ჩინეთში შეჭრის დროს ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები აუცილებლათ შეეჯახება იაპონიას“-ო.

და აი სწორეთ ინგლისისათვის ასეთი მდგომარეობა ჰქმნის ახალ მიმართულებას პოლიტიკაში. შეშინებულ ინგლისის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი მიისწრაფვის და ცდილობს შეეკრას კავშირით ამერიკას და ამერიკის ბურჟუაზიას შეუერთდეს. ამას ღაღადებენ ფაქტები. ერთი პუბლიცისტი ამ ახალ მიმართულებისა (სტრახეი) სწერს: „ჩვენ ვიცით, რომ შეერთებული შტატები ადვილათ დაგვამარცხებენ ჩვენ ზღვაზე, თუ ჩვენ ვიცანით მის პირველობა“.. («Ninetchens centyry and after») და ეს მიმართულება მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკასთან უნდა რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დაამყარონ, რომ თავიდან აიცილონ ის ხიფათი, რომელიც მოელის მათ და რეალურ სახეს იღებს. ეს მომავალი ომია. თუ მივაქცევთ ყურადღებას უკანასკნელ გაზეთს აქ ისახება ამერიკასა და ინგლისს შორის კავშირი. მე ეხლა მოკლეთ შევეხები ჩრდილოსილეზიის საკითხს. რადგან იქ როგორც ერთ ცვარ წყალში სჩანს არემარე, ისე გამოჩნდა მთელი ევროპის პოლიტიკა. ვიტყვი თავიდანვე, რომ ამ საკითხში საფრანგეთის პოლიტიკამ გაიმარჯვა. უმაღლეს საბჭოს დადგენილებისამებრ პლებისციტი იყო მოხდენილი, მიმდინარე წლის მარტში და პლებისციტმა გამოამჟღავნა, რომ აქ პოლონელები ნახევარზე ნაკლებია გერმანელებთან შედარებით. გერმანელები—716,000, პოლონელები—471,000, თუ ეკუთვნის ვისმეს ეს ადგილი, ეკუთვნის უფრო გერმანიას და თუ ორ სახელმწიფოს შორის უნდა გაიყოს, მაშინ ნაციონალურ საზღვარზე უნდა გატარდეს ხაზი. მაგრამ ასწიეს ეს ადგილი და პოლონეთს გადასცეს, განსაკუთრებით ის ნაწილები, სადაც გერმანელები უმრავლესობას შეადგენენ. მაგ. კატოვიცი მისცეს პოლონეთს, თუმცა აქ პოლონელები დიდ უმცირესობაში არიან (გერმანელები—22,744, პოლონელები—3,500) და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საუკეთესო ცენტრია ქვანახშირის წარმოებისა. სილეზიის გადაცემით გერმანია კარგავს 28 მილიონ ტონა ქვანახშირს წლიურათ. ცინკს—60 პროც., რკინას—63 პროც. და სხვ. ერთი სიტყვით აქ ევროპის ტერიტორიაზე საფრანგეთის პოლიტიკა იმარჯვებს. გარდა ამისა ინგლისისათვის გამოსავალი ასეთია: მან ან საფრანგეთთან ან ამერიკასთან უნდა გაიკეთოს საქმე და შეკრას კავშირი, რადგან მარტო იაპონიასთან კავშირი მას ვერ უშველის. მისი დიპლომატები ამერიკას ელაქუცებიან. [illegible] ეძებენ მასთან. ტრახეი, რომელიც ჩრდილო-ამერიკასთან შეერთებაზე ლაპარაკობს, ამბობს, რომ ჩვენ სისხლით ერთი ვართ და ქვეყანათ უნდა ბატონობდეს მარტო ანგლო საქსური რასსაო. ვაშინგტონის კონფერენციის გახსნამდი საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკება იყო ინგლისის ინიციატივით. ვინაიდგან თუ საფრანგეთსა და ამერიკას შორის მოხდებოდა კავშირი ინგლისის საქმე გაფუჭდებოდა, ამიტომ ინგლისი შეეცადა კონფერენციამდე მოლაპარაკება გაემართა საფრანგეთთან: ინგლისი ეუბნებოდა საფრანგეთს: მე ხელს არ შეგიშლი ევროპის კონტინენტზე პოლიტიკურ და ეკონომიურ პირველობაში ვერსალის ხელშეკრულების ფარგლებში, გერმანიის ჩანთქვაში და აგრეთვე ვაშინგტონის კონფერენციაზე მე დავიცავ შენს ინტერესებს—რუსეთის მიერ ვალების გადახდის შესახებო. საფრანგეთი დაპირდა რომ იგი მხარს არ დაუჭერს ამერიკას ვაშინგტონის კონფერენციაზე ინგლისის წინააღმდეგ. ამიტომ ინგლისი სხვანაირად ალაპარაკდა ამ ბოლო ხანებში საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს სავაჭრო ხელშეკრულება და პირველი მუხლი ამ ხელშეკრულებისა ამბობს, რომ ყოველგვარი განზრახვა რუსეთის წინააღმდეგ შესევის, დაპყრობის და სხვა ამ გვარი ხასიათისა არ შეიძლება დაშვებულ იქნასო და სხ.... მიუხედავათ ამისა, ინგლისმა დიპლომატიური ენა გამოიცვალა და უზრდელი, მკაცრი აგრესიულ კილოთი დაიწყო ლაპარაკი. ის ამით აიხსნება, რომ მას გარიგება აქვს საფრანგეთთან, რომელსაც ეუბნება, მე დავიცავ ვაშინგტონის კონფერენციაზე შენს თვალსაზრისს, ოღონდ ამერიკას ნუ დაუჭერ მხარსო. ეს იყო მიზეზი იმისა რომ კერზონმა სამარცხვინო ნოტა გამოუგზავნა რუსეთს. გერმანიის პოლიციურ პოლიტიკის მიერ შეთითხნილ ფაქტებზე აშენებული. ეს პოლიციელების მიერ შეთითხნილი და გამოგონილი ჭორები გამოააშკარავა ამხ. რადეკმა. მან ნათელ ჰყო ის ფაქტები, რომლებითაც კერზონი სარგებლობდა და რომლებზედაც აშენა მან თავის ნოტა. მე სწორეთ გითხრათ ამ სურათმა ბიბლიაში მოთხრობილი დავითის გოლიათთან შებრძოლება გამახსენა. პატარა, ახალგაზდა რადეკმა დასცა ვეებერთელა კერზონი წუმპე ტალახში და დასცა ისე, რომ დღესაც ვერ წამომდგარა. მხოლოდ ეხლა პასუხათ ჩიჩერინის ნოტაზე კერზონი რაღაცას ლუღლუღებს, მაგრამ როგორც რადეკი ამბობს ეს არის „[illegible]“ თავპირ დამტვრეული მტრისა. ევროპის დიპლომატიის ბურჯი, იმპერიალიზმის ფალავანი კერზონ-როვ-სედლსტონი დასცა ახალგაზრდა კომუნისტმა კარლოს რადეკმა. ასეთ დიპლომატიას მიმართეს და ყოველნაირ ზომას ღებულობდენ, რომ საფრანგეთი მოემადლიერებინათ და რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებიათ, ამას რომ გაყვეს კაცი ეს ისეთი რთული ქსელია, რომ უბრალოთ ვერც წარმოიდგენთ ამ მახინაციებს და დიპლომატიურ ხრიკებს. ამის შემდეგ იყო სწორეთ, რომ ერთი წარმომადგენელი მეტალურგიელ კაპიტალისა ურალზე ერკარტი დაბრუნდა ინგლისში და ასტეხა განგაში საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ რომ აქ არ შეიძლება ნორმალური კომერციული საქმიანობა, რადგან რაღაც პროფკავშირები ერევიან საქმეში და სხ. ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რომლითაც ინგლისი იძულებულია აწარმოოს რუსეთის და თვის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების წინააღმდეგ. ამით მას სურს წელი გაიმაგროს, რომ საფრთხე მოიგერიოს თავიდან და ამიტომ ადვილათ შესაძლებელია მან უფრო საშინელი და სამარცხვინო ნოტა დასწეროს ხვალ რუსეთის მიმართ, ოღონთ შეასრულოს იმ პირობა, რომელიც დასდვა საფრანგეთთან. აი სწორეთ ამ დროს რუსეთი აცხადებს, რომ ის ცნობს ყველა ძველ ვალებს და მზათაა მოლაპარაკება გამართოს ამის შესახებ. ეს ანგრევს მთელ პლანებს, ეს შლის მთელ დიპლომატიურ ქსელს. და ამიტომ არის, რომ ეს ცნობა ვალებისა სიხარულით არ იყო მიღებული ევროპის დიპლომატიის და ბურჟუაზიულ წრეების მიერ და პირიქით ლანძღვა-გინებას იწვევს მათი მხრით. რუსეთის განცხადებას ვალების ცნობის შესახებ სიხარული უნდა გამოეწვია დასავლეთ ევროპაში, მაგრამ პირიქით აქ მხოლოდ უკმაყოფილება გამოიწვია და მხოლოდ საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიისათვის იყო ეს ფაქტი სასიხარულო, რადგანაც რუსეთის ვალის დიდი ნაწილი ეკუთვნის მას. ამნაირად აქ ბევრნაირი მიზნები იქმნა მიხწეული. რუსეთის დიპლომატიის მოღვაწეობაში ეს პირდაპირ გენიალური ნაბიჯია. რომელმაც მთელი ევროპის ბურჟუაზიის გეგმები დაშალა. ინგლისი ეუბნება საფრანგეთს: მე დავიცავ შენს ინტერესებს რუსეთის მიერ ვალის გადახდის საკითხის შესახებ ამავე დროს რუსეთი თავის თავად აცხადებს მე ვიხდი ვალებსო. ამნაირად ის შეთანხმების პირობა, რომელიც აკავშირებდა ინგლისს, საფრანგეთთან, ირღვევა. მეორე შედეგი: წვრილმა ბურჟუაზიამ, რომელიც უდიდეს ნაწილს წარმოადგენს საფრანგეთის საზოგადოებისა და რომელიც მტრულად იყო განწყობილი რუსეთის წინააღმდეგ, დღეს მტრობისაგან გული გადაირეცხა, რადგან რუსეთი იხდის ვალს. ასე რომ ეს ნაბიჯი პირდაპირ გენიალური ნაბიჯი არის. ტყვილა კი არ ამბობენ ინგლისის საუკეთესო დიპლომატები, რომ მოსკოვმა ისეთი ყაიდის დიპლომატები წარმოშვა, რომ ჩვენ, რომლებიც დავბერდით დიპლომატიაში ასავალ-დასავალს ვერ ვუგებთო. პატარა რადეკი კერზონს ისე ანადგურებს, რომ იგი დღემდის ფეხზე ვერ წარმომადგარა· ეს ღირს შესანიშნავია. ნოტა ჩიჩერინისა ანგრევს მთელ რიგს გეგმებისას და რეტს ასხამს დასავლეთ ევროპის დიპლომატებს, რომელსაც მათ ვალს უბრუნებს და იქ კი სიხარულის მაგივრათ მხოლოდ გლოვას და მწუხარებას ვხედავთ. ეს ფრიად შესანიშნავი ფაქტია და ჩვენთვის დიდათ სასარგებლო პოლიტიკურათ და სოციალურათ, ვინაიდგან ახალი ჯგუფები წინათ ჩვენდამი მტრულათ განწყობილნი, ემატებიან საბჭოთა რუსეთის თანამგრძობელთა ბანაკს. ამნაირად, რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია: ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თითქოს არ შეიძლებოდეს ახალი თავდასხმა განიზრახოს ვინმემ, მაგრამ რუსეთის მდგომარეობა დღეს შეურყეველია, იგი დღითი დღე მაგრდება. ანტანტის დიპლომატებმა, რომ ბრძოლა წააგეს ეს აშკარაა და პროლეტარულ რევოლიუციის ზრდა აუცილებელია. კაპიტალისტური ფორმა, არსებული წესი წარმოებისა, აუცილებლად უნდა დაინგრეს, დაიშალოს. ეს ობიექტიური პროცესი, ეს პოლიტიკა ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ წვრილი ბურჟუაზია საფრანგეთისა და ამერიკისა გადადის პროლეტარიატის ბანაკში, ამაგრებს მას და ემატება პროლეტარიატის მოძრაობას, ამ მდგომარეობას ალლო აუღო მხოლოდ რუსეთმა. ამას მე გადაჭრით მოგახსენებთ რუსეთის პოლიტიკას დღესაც ვერ გებულობს კერზონი და ჩერჩილი. ეს ის ახალი პოლიტიკაა, რომელზედაც ლაპარაკობს ყველა და რომლის ავტორიც ლენინია. ეხლა მოპირდაპირეზე შტურმით წასვლა არ შეიძლება, საჭიროა ალყა მოფიქრებული, ეს უბრალო და მარტივი აზრია მთელი პროლეტარიატის მასისათვის და ის ვინც ლაპარაკობს, რომ ეს დათმობაა—ან გაუგებრობით აიხსნება, ან ავადმყოფური და ცრუ რევოლიუციონური გრძნობით. ობიექტიურმა მოაზროვნეებმა დაინახეს, რომ ეს პოლიტიკა არის ერთად ერთი გზა შტურმის მზადებისათვის, ამიტომ მე ვლაპარაკობ, რომ ეს ნაბიჯი პირდაპირ გენიალური ნაბიჯია. მე აქ ვათავებ ჩემს სიტყვას. ჩემი მოხსენება სრული არ იყო. ბევრი საინტერესო ფაქტი დამრჩა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მთელი საერთაშორისო მდგომარეობის სქემა, უმთავრესი მომენტები გადმოგეცით ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ობიექტიური თვალსაზრისი. ამით ვათავებ სიტყვას. (ტაში).

ფერი დასვენა გამოუტანია.

და აი, მაძევებენ პარტიიდან ყალბი ცნობების მიწოდებისთვის!..

ეს მიქნა ანკეტამ! გაწყდეს მისი მომგონი!

რა გაეწყობა,—წავშალო უნდა და ხელახლა დავიწყო!

ამბობენ, მეტის მეტი კრიზისია ქაღალდისა. იქნება ამ გარემოებამ შემიწყოს ხელი და აღარ მომიხდეს მომავალში ურიცხვი ანკეტების შევსება, თორემ კიდევ არ მაქ ჩემი მეხსიერების იმედი!..

ს. თ—ია.

ს ულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

ამხ. თაქთაქიშვილის მოხსენება

ყრილობა ისმენს მთავარ პროფესიონალურ განათლების სახელით ამხ. თაქთაქიშვილის მოხსენებას. განმარტავს რა ძველი სკოლის ისტორიას მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რეფორმის ნიადაგი უკვე საბოლოოდ მომწიფებულია. მთავარი პროფესიონალური განათლება თავის ძირითად ამოცანად სთვლის ტეხნიკუმების მოწყობას. ტეხნიკუმის ძირითად თვისებას შეადგენს, რომ იგი შეესაბამებოდეს ცხოვრებას. ტეხნიკუმებმა უნდა დააკმაყოფილოს რესპუბლიკის ყველა მოთხოვნილებანი ტეხნიკური განათლების საქმეში და უნდა მოგვცეს ხალხი, როგორც საერთო განათლებით აღჭურვილნი, ისე სპეციალისტები.

გასაბჭოებამდე ახალგაზრდობის 95 პროცენტი განსაკუთრებით საერთო განათლებას ღებულობდა. ტეხნიკუმები იყოფა შემდეგ ტიპებად: გუმანიტარულის, პედაგოგიურის, სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალურ-ტეხნიკურისა. ორი წლის განმავლობაში ყველა ტეხნიკუმებში ერთნაირის პროგრამით სწარმოებს სწავლა მაგრამ თავისი სპეციალობისადმი უპირატესობის მიცემით. სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმებს აქვს თავისი ქვეგანყოფილებანი, მემინდვრეობისა მეღვინეობის, პირუტყვთა მოშენებისა და სხვ. საკმაო ძალების უქონლობისა გამო ტეხნიკუმების გახსნის საქმე ნამეტანი ნელის ნაბიჯით უნდა მოხდეს. ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 100 ტეხნიკუმი. საჭიროა მათი გაუმჯობესება ფინანსების გადიდებით. გეგმა შეწონილ მუშაობისათვის საჭიროა ახალი ტეხნიკუმების გახსნა ცენტრის ნებართვით ხდებოდეს. მუშაობის ღირსების მიხედვით საჭიროა შემოღებულ იქნას პრემიალური დაჯილდოება. საჭიროა ფართო ორგანიზაცია ინტერნატებისა და მოწაფეთა საერთო საცხოვრებლებისა, ხოლო მეცნიერულ-ტეხნიკური ძალების მოსამზადებლად საჭიროა საზღვარ გარედ მოწაფეების გაგზავნა. საჭიროა აგრედვე დამკვიდრდეს მჭიდრო ურთიერთობა ტეხნიკუმების და ადგილობრის სახალხო განათლების შორის.

მუშათა ფაკულტეტების სექტორი.

ამხ. ბირიუკოვის მოხსენება

მუშათა ფაკულტეტების სექტორის ამოცანას შეადგენს—შეაძლებინოს დიდებს სპეციალურ სწავლის მიღება. მიუხედავად მძიმე ეკონომიურ პირობებისა, მუშათა ფაკულტეტების სექტორმა შეიმუშავა პროგრამმა-მაქსიმუმი. სექტორის მუშაობა განიყოფება დამკრავ და გეგმიან მუშაობათ. პირველს ეკუთვნიან: მოკლე-ვადიანი მომზადება, კურსების გახსნა და სხვა და სხვა ამნაირი. ჩვენ გავხსენით მთელი რიგი მოკლე-ვადიანი კურსები, მეტადრე რკინის გზების პროფ. კავშირისთვის (25-მდე), სადაც მეტად საჭიროებენ დახელოვნებულ მუშებს. ნორმალური მუშაობათ იგულისხმება საღამოს ტეხნიკუმების შექმნა მუშებისთვის. ასეთი ტეხნიკუმი შექნილია თბილისში. მათი გახსნა ბრკოლდება მსმენელთა კადრის უყოლობით და ეკონომიურ პირობებით. შეუდექით ტეხნიკუმის ორგანიზაციას ბათომში, შევქმენით 2 ტეხნიკუმი (გუმანიტარული და ინდუსტრიალური) უნივერსიტეტში მოსამზადებლათ.

მაგრამ უმთავრეს ჩვენს საქმეს წარმოადგენს შექმნა მუშათა ფაკულტეტისა, რომელმაც თანდათან უნდა გაავსონ ეხლანდელი უმაღლესი სკოლა ისეთი პირებით, რომელნიც უკვე მონაწილეობას იღებდნენ წარმოებაში.

სექტორს განზრახული აქვს გახსნას სკოლები ქარხნებში მომუშავე მოსწავლეთათვის. გლეხთა შორის პროფესიონალურ განათლების სფეროში ჯერ ძაან ცოტაა გაკეთებული. ჩვენ განზრახული გვაქვს გავყოთ იქ მუშაობა ორ ნაწილად: სასოფლო მეურნეობის და შინა-მრეწველობის. სასოფლო-მეურნეობის დარგში უნდა დაარსდეს მოკლე ვადიანი კურსები.

შინა მრეწველობის დარგში განზრახულია მოეწყოს სოფლებში საჩვენებელი ქოხები. კურსების მუშაობა წარჩინებულად მიდის. პროფკავშირთან ერთად ჩვენ ვსწმენდავთ მას უვარგის— ელემენტებისაგან, რომლებიც შეეიძნენ იქ მხოლოდ გადიდებულ ულუფის გულისათვის. გადავდივარ რა პროვინციის მუშაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მიყრუებულ კუთხეებში ეხლა კურსების გახსნა—თითქმის შეუძლებელია, ვინაიდგან იქ არ არის წარმოება. ამ რიგად ჩვენ უმთავრეს ყურადღებას დღეს ვაქცევთ მსხვილ ცენტრებს: თბილისსა და ბათომს. ბირიუკოვის მოხსენების გამო გამოდის კანდელაკი, რომელიც ლაპარაკობს ისეთ მნიშვნელოვან წარმოებებთან, როგორიც არის ტყიბული და ჭიათურა, კურსების გახსნის შესახებ. საბოლოვო სიტყვაში ბირიუკოვი უპასუხებს კანდელაკს და განმარტავს, რომ მხათ არის გასახსნელად აქ ცენტრში შტეიგერების მოსამზადებელი კურსები, და აგრედვე განზრახულია გახსნა ტყიბულში, ჭიათურაში. მუშათა ფაკულტეტის სექტორი,—ამბობს ბირიუკოვი,—იმუშავებს შემდეგშიაც პროფკავშირების საბჭოსა და წარმოებებთან ერთად.

ეროვნებათა უმცირესობის საბჭოს მუშაობა.

ამხ. შავერდოვის მოხსენება

საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირად ეპყრობა ყველა ეროვნებებს. საქართველოში არა ქართველობა. საგრძნობ პროცენტს შეადგენს. განათლების კომისარიატმა უნდა შეუფარდოს თავისი მუშაობა ყველა ეროვნებებს. ამ მიზნით არის შექმნილი განათლების კომისსარიატის კოლეგიასთან ეროვნებათა უმცირესობის საბჭო. სოციალურ უმცირესობის ორგანიული მუშაკები არიან განათლების კომისსარიატის ძირითადი მუშაკები. განათლების კომისსარიატის საორგანიზაციო ხანაში ეროვნებათა უმცირესობის საბჭომ ვერ შესძლო გაეღრმავებია თავის მუშაობა. თუმცა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სკოლების გადაჯგუფებაში. ეროვნებათა უმცირესობის მუშაობა ნაკლებად შეეხო პროვინციას. გამომუშავებულია სომხურის და სხვა ენათა პროგრამები, გამოდის ჟურნალები ასირიული, და სომხური, მუსულმანური და სხვა მუსულმანთა, სომხებისა და სხვების სკოლები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება აგრედვე ოსეთის მოსახლეობაც. არის სახელმძღვანელოების დიდი ნაკლებობა, თუმცა მათი ბეჭვდა ეხლა სწარმოებს. საჭიროა ადგილებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა; საშური მიზანს წარმოადგენს მასწავლებელთა პერსონალის მომზადება.

აკადემიურ ცენტრის და უმაღლესი სკოლის მუშაობა.

ამხ. კანდელაკის მოხსენება.

ჩვენი უმაღლესი სკოლით ბევრია კმაყოფილი,—ამბობს კანდელაკი,—მაგრამ შეიძლება დავამტკიცო, რომ ყველა შესაძლებელი რეფორმები ჩვენ მიერ გატარებულია. ორატორი ეხება ძველ უმაღლეს სკოლას, რომელიც აგებული იყო სხოლასტიურ და კონსერვატიულ საფუძველზე. ძველი უმაღლესი სკოლა მოწყვეტილი იყო სამეცნიერო ცხოვრებიდან. ყველა სამეცნიერო გამოკვლევები იყო დამუშავებული უმაღლეს სკოლის კედლებ გარეშე. უმაღლესი სკოლის მიზანი როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, არის მოამზადოს და გამოუშვას მთელი სამეცნიერო და სამრეწველო ცხოვრების „სარდლები".

პროფესურა იყო წინათ სრულიად არა დამაკმაყოფილებელი შემადგენლობისა. ჩვენ ამ მხრივ კარგ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენ გადავახალისეთ ჩვენი პროგრამმა. 5 წლიან კურსის მაგივრად, რომელიც ხშირად 7 წელს გრძელდებოდა, შესაძლებელია მიიღო უმაღლესი სპეციალური განათლება სამ წელშიაც. და აქაც სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ყოველ 3 წელში მოგვცემს გამოცდილ ხელმძღვანელთა კადრს, უფრო ნიჭიერთათვის ჩვენ შევქმნით სამეცნიერო გამოკვლევათა ინსტიტუტს, დანარჩენები წავლენ პირდაპირ პრაქტიკაზე. რუსეთში იყო დრო შეეცვალათ უმაღლეს სკოლის მსმენელთა შემადგენლობაც. მუშათა ფაკულტეტებს იქ აქვთ უკვე 2 წლის გამოცდილება. აქ ჩვენც დავადექით ამ თანდათანობითი შეცვლის გზას.

ძველ სტუდენტთა გამოშვების შეუძლებლივ, ჩვენ დავიპყარით უმაღლესი სკოლა, გავავსეთ იგი მუშებით. რომ არ დაუშვათ ბურჟუაზიული პროფესურა საპასუხისმგებლო ლექციების კითხვაზე, ჩვენ ვფიქრობთ გავატაროთ „წითელ პროფესურის" ძალთა მობილიზაცია, რომლის გარშემო თავი უნდა მოიყაროს საუკეთესო პოლიტიკურმა პროფესურამ. უმაღლესი სკოლა უნდა უპასუხებდეს ცხოვრების ყველა მოთხოვნილებებს, უნდა მოგვცეს პედაგოგები. მას უნდა მიეცეს ფართო სარჩული სამეცნიერო გამოკვლევის მუშაობაში. კანდელაკი გადადის აკადემიურ ცენტრის მუშაობაზე. უკანასკნელ ხანებში აკადემიურ ცენტრის და პროფესიონალურ მთავარ განათლების განყოფილების ფუნქციები ერთმანეთში არეული იყო. აკადემიურ ცენტრის შემადგენლობაში შედის სახელმწიფოს სწავლულთა საბჭო სათანადო სექციებით. ეხლა ხდება უფრო სწორი განაწილება აკადემიურ ცენტრის და მთავარ პროფგანათლებისა. სახელმწიფოს სწავლულთა საბჭომ აღრიცხა ყველა სამეცნიერო საზოგადოებანი, რომლებიც კი არიან რესპუბლიკაში. თითქმის ყოველმა საზოგადოებამ მიიღო ჩვენგან სუბსიდია. ჩვენ ყოველ ზომებს ვხმარობთ სიძველეთა შეძლების დასაცავად, რომელსაც სრულებით არ მისდევდა მენშევიკების მთავრობა. ჩვენ გვაქვს ფიზიკური ობსერვატორია, რომელიც დიდ ფულს მოითხოვს. ჩვენ მნიშვნელოვანი საშუალებანი გადავდეთ მის არსებობისათვის. ჩვენ დავამთავრეთ ქართულ გალერეის მოწყობა ყოფილ დიდების ტაძარში, რისთვისაც შეძენილია ბევრი ძვირფასი ნივთები; საქართველოს მუზეუმი, რომელსაც მსოფლიური მნიშვნელობა ქონდა, გაისინჯა და მოწესრიგდა. ჩვენ მიერ ყველაფერი გაკეთებულია, რომ დამთავრდეს მუზეუმის შენობა. ჩვენი სამხატვრო პოლიტიკის შესახებ თბილისში—შეიძლება ითქვას, რომ ძველი ხელოვნება კვდება დაუბრუნებლად და ჩვენ ვარჩევთ იქიდან საუკეთესოს და ვინახავთ მისთვის, რომ შეძლება მივცეთ მუშათა მასსებს დაუახლოვდენ ხელოვნებას.

რევკომების ყრილობა

მოხსენებები ადგილებიდან

ახალციხის მაზრა.

მოხსენებით, ახალქალაქის სამაზრო რევკომის მოქმედების შესახებ გამოდის რევკომის თავმჯდომ ამხ. ბოგირაძე. ახალქალაქის გასაბჭოების პირველ დღეებში რევოლიუციონური ხელისუფლება შესდგა სტიქიურად ადგილობრივ ძალებიდან. აგვისტოში კი შესდგა სამაზრო რევკომი, ყველა თავის განყოფილებებით (13) რომელთაც მეთაურობენ კოლლეგიები. შედგენილია აგრედვე სამაზრო მილიცია, მაზრაში 3 რაიონული და სხ. სათემო რევკომი.

სამაზრო რევკომი ენერგიულად შეუდგა რევოლიუციონურ წესრიგის დაცვას და საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებას. თითქმის დათავდა სანიტარულ გადასახადის აკრეფა: შეგროვილია 600 მილიონამდე მანეთი. და დარჩენილ 50 მილიონ მანეთის აკრეფა ამ დღეებში დამთავრდება. შეკრებილია 4000 ფუთამდე სასურსათო გადასახადი და თითქმის დასრულებულია მომარაგების სახალხო კომისარიატის დაკვეთა, თავის გადასატანად ურმების მიწოდების შესახებ. ამ დავალებათა შესრულებას ხელს უშლიდა მაზრაში ძლიერ გავრცელებული შავი ჭირი სხვილ-ფეხა საქონლისა. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სადეპეშო ხაზის და ახალქალაქ-ახალციხის გზა-ტკეცილის შეკეთებას, რომელიც ცუდ მდგომარეობაშია. სწარმოებს პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა და მოწყობილ იყო ვოლგას მხარის დამშეულთა და „ბავშვის კვირის" დახმარების საქმე, და „ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავი". მნიშვნელოვან დამსახურებათ სამაზრო რევკომი სთვლის ნაციონალურ შეხლა-შემოხლის მოსპობას.

კლასობრიობის მხრივ, მოსახლეობა იყოფა ასე: ღარიბესნი 50-55 პროც., საშუალოები 35 პროც.-დე, დანარჩენ პროცენტს შეადგენენ ბოილები. და დამოუკიდებელი კლასი. ეროვნულის მხრივ, მაზრა დიდათ აჭრელებულია.

სომხებია 55 პროც. და დანარჩენი 45 პროც. შეადგენენ თანასწორად, თათრები, რუსები, და ქართველები.

გასაბჭოების დღიდან მოწყობილია სათემო და რაიონულ რევკომების 3 ყრილობა

მაზრაში, ყოველგან ეწყობა სახალხო სასამართლო, რომელიც ქალაქში უკვე შეუდგა მუშაობას.

სწარმოებს შეკეთება გამასწორებელ სახლისა 70-80 კაცის თემის, რომელიც ქემალისტების მიერ მაზრის დაკავების შემდეგ სრულებით უვარგისი შეიქმნა. უკვე შესრულებულია მუშაობის 80 პროც.

1920 წელში მაზრაში მოქმედებს 4 სკოლა: 2 ქალაქში და 2-ც მაზრაში. მენშევიკების დროს ერობის მიერ სკოლები აყვანილია 30 რიცხვამდე, მაგრამ, არსებითად ამ სკოლების უმეტესობა არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე, ერთი სასწავლებლის გამონაკლისით, რომელსაც ინახავდა სომხების ეროვნული საბჭო. ქემალისტების მიერ მაზრის დაჭერის დროს ყველა სკოლები საბოლოოდ დაინგრა, ხოლო მთელი ინვენტარიდან ზოგი განადგურდა ზოგიც მოპარულ იქნა. სახალხო განათლების განყოფილებამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა დანგრეულ შენობათა შეკეთების დამუშავებულ იქნა პროექტი ბავშვთა, ქალების, ბაღების და კლუბებისა მოსაწყობათ. ზაფხულში მოქმედებდა 180 ბავშვის დამტევი საბავშო ბაღი, რომელთა ხელმძღვანელებად იყო ფრებელელი ქალი. ამ ჟამად სკოლების რიცხვი აყვანილია 30-დე,—მათში 18 სომხურია, ქართული 6, რუსული 3 და თათრული 3. მიღებულია სასწრაფო ზომები კიდევ 40 სკოლის გასახსნელად, რომელთა გახსნითაც დაკმაყოფილებულ იქნება მოსახლეობის მოთხოვნილება. სკოლას დიდძალი ბავშვი აწყდება, მაგრამ სათანადო შენობების უქონლობის და მასწავლებელთა პერსონალის უყოლობის გამო, შეუძლებელია მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

განყოფილებასთან მოწყობილია ქვეგანყოფილებანი—სკოლის ჰასაკამდე, პოლიტიკურ განათლების განყოფილება და ცენტრო-ბეჭდვითი კავშირის განყოფილება. მაზრაში მოწყობილია 10 საავიტაციო პუნქტი. დაიწყო ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობასთან. მოსწავლეთა რიცხვი ავიდა 1500-მდე—72 მასწავლებლით.

ეკონომიურ განყოფილებას ჰქონდა შემდეგი წარმოებანი:

სამჭედლო, სადურგლო, საქსოვი და ფეხსაცმელის სახელოსნო, სტამბა კირის ქარხანა და თამბაქოს ქარხანა ამის გარდა ეკონომიურ განყოფილება ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობდა ხე-ტყის და სატყავო ქარხნებით.

საკუთარ წარმოებათა რიცხვიდან გაუქმებულ იქნა ფეხსაცმელების სახელოსნო და სამჭედლო—პირველი. პირველ საჭიროების საგნების უქონლობისა და მეორე ხელოსნების უყოლობის გამო. კირის ქარხანას არ შეუძლია თავის მუშაობის გაფართოვება, რადგან კირზე სრულებით არ არსებობს მოთხოვნილება.

სამაზრო სასურსათო კომიტეტმა მის არსებობის მთელი დროის განმავლობაში აპრილის 10-დან ოქტომბრამდე.

მომარაგების სახალხო კომისარიატისაგან მიიღო სულ 119 მილიონი მანეთი შესანახად საშუალოდ 400 მოსამსახურისა. რაიონის მოსამსახურეებს არ მიუღიათ ულუფა ოქტომბრამდე.

საადგილ-მამულო ნორმის მშრომელ გლეხობისადმი დარიგებას საადგილ-მამულო განყოფილება ადრე გაზაფხულზე შეუდგება და თუ იქნება საკმარისი რიცხვი ტეხნიკურ მუშაკებისა, გლეხების მიწით მომარაგების ოპერაცია, თანახმად № 17 დეკრეტისა, დასრულებულ იქნება 2 საზაფხულო სეზონში.

საადგილ-მამულო ნიადაგზე აღმოცენებულ დავათა გამრჩევმა კომისიამ ოქტომბრიდან გაარჩია 20 საქმე.

და ბოლოს მომხსენებელი ამბობს, რომ მაზრაში სრული სიწყნარეა, არაა ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, დეზერტირობა ისპობა, განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამაკმაყოფილებელია, ეროვნულ შუღლს არ აქვს ადგილი. ამასთან ერთად ადგილი აქვს ნაკლსაც. მთავარი ნაკლია—მაზრაში პარტიულ და მომზადებულ საბჭოთა მუშაკების უყოლობა, რის გამოც რევკომს არ შეუძლია თავის მოქმედების ფართედ გაშლა, მეორე ნაკლია—ტანსაცმელის, გადასაზიდ საშუალებათა და ფულის უქონლობა.

თიანეთის მაზრა.

თიანეთის მაზრის შესახებ მოხსენებით გამოდის რევკომის თავმჯდომარე ამხ. სურგულაძე.

სამაზრო რევკომი შესდგა გასაბჭოების პირველ დღიდანვე, მაგრამ იგი საბოლოოთ მოწყობილ იქნა 2-3 თვის წინეთ. მაზრაში მოქმედებს 15 სათემო რევკომი. რევკომს უხდება გაძლიერებულ ბრძოლის წარმოება ყაჩაღობის და ბანდიტიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროის განმავლობაში მოვგერებულ იქნა 9 ყაჩაღური თავდასხმა ქისტების მხრით მშვიდობიან მოსახლეობაზე და ორი შემთხვევის გარდა გატაცებული შინაური საქონელი წართმეულ იქნა და პატრონებს დაუბრუნდათ. ბანდიტიზმი ამ ჟამათ მოსპობილია.

სამაზრო სას. კომიტეტმა მოაწყო თიონეთში საბჭოთა სასადილო და ამარაგებს მოსამსახურეებს და მუშებს პურით და სხვა გვარ ულუფით. სასურსათო გარდასახადის შესაკრები სიები ამ ჟამად შესწორებულია და გაწერვა და აღება გარდასახადისა დაწყებულია, განზრახულია შეიკრიბოს გარდასახადი დეკემბერში.

ეკონომიურ განყოფილების მუშაობა გამოიხატა უმთავრესათ გზა-ტკეცილების შეკეთებაში, მაგრამ სარემონტო სამუშაოთა შესრულება სავსებით ვერ მოხერხდა.

თხრილები ამოწმენდილია და ხიდებთან მიზიდულია ტყის ხეები და სხვა შესაკეთებელი მასალა მაგრამ შესაკეთებელ მუშაობას ხელი შეუშალა ნოემბერში მოსულმა თოვლმა.

თიონეთში არის ელექტრონის სადგური, მოწყობილია ხე-ტყის ქარხანა, რომელიც აწარმოებს დახერხვას როგორც თავისის, აგრეთვე გლეხების ხე-ტყის მასალისას. შეკეთებულია ორთქლით მმოძრავი წისქვილი, რომელიც ამუშავდება მაშინ, როდესაც მდინარეები გაიყინებიან. საბჭოთა დაწესებულებები მომარაგებულნი არიან შეშით. ეკონომიურ განყოფილებასთან არსებობს საავტომობილო ტრანსპორტის ქვეგანყოფილება. ეკონომიურ განყოფილების მიერ მოწყობილია საბჭოთა სახელოსნოები.

— საფეხსაცმელო, სადალაქო და სადურგლო.

პირველ დაწყებითი სკოლები სულ 15-ია, ზოგიერთ მათგანში დაწყებულია მეცადინეობა, ზოგიერთი კი დაკავებულ იყო წითელ ლაშქრელებით დასაჭიროებენ შეკეთებას. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია და წარდგენილია განათლების სახალხო კომისარიატში.

ამ სკოლების გარდა მოქმედებენ 2 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი,—ერთი თიონეთში და მეორე კი, რომელიც გაიხსნა სასწავლო წლის დასაწყისში, სოფ. ახმეტაში.

დეკრეტი № 17 აგრარულ რეფორმის შესახებ სრულიად არაა განხორციელებული, შეკრებილია ცნობები 108 სოფლის შესახებ და საჭიროა მიწისმზომელთა გამოგზავნა დეკრეტის ცხოვრებაში საბოლოოდ გასატარებლად. არსებობს საგანგებო კომისია საადგილ-მამულო ნიადაგზე აღმოცენებულ საჩივართა გასარჩევად.

მაზრაში საგრძნობია ინტელიგენციის ნაკლებობა.

მილიცია დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

ცალკე დაწესებულებათა და სახალხო კომისარიატების განყოფილებათა შორის სუფევს მჭიდრო კონტაქტი. ეწყობა სახალხო სასამართლო; აქამდის საჩივრებს იხილავდა სამედიატორო სასამართლო.

ქუთაისის მაზრა.

ქუთაისის მაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს იმავე მაზრის რევკომის თავმჯდ. ამხ. ლორთქიფანიძე: საბჭოთა ხელისუფლება ქუთაისში და მის მაზრაში დამყარდა მარტის 10. რევკომი ნაჩქარევად შესდგა, მაგრამ აპრილის ნახევრისათვის უკვე იყვნენ მოწყობილნი ამ ჟამად არსებული განყოფილებანი. პირველად რევკომი მუშაობდა საგუბერნიო მაშტაბით, შემდეგ კი, როგორც ეხლა, მუშაობს მაზრის მაშტაბით, მის მოქმედების სფეროში ქ. ქუთაისის მოყოლებით.

მაზრაში 6 რაიონული და 47 სათემო რევკომი [illegible] რომელიც იდგა სამაზრო რევკომის წინაშე, გამოიხატებოდა ხელისუფლების მოწყობის და საადგილ-მამულო და სასურსათო საკითხეიში.

მაზრაში არ იყო ყაჩაღობა და მხოლოდ ეხლა თავს იჩენს მის ნიშნები, მაგრამ მალე იქნებიან მოსპობილნი.

მიუხედავად მენშევიკების და სხვა საბჭოთა საწინააღმდეგო ელემენტების პროვოკაციულ მუშაობისა მენშევიკების გაქცევის წინ, რევკომმა მალე მოახერხა მტკიცე საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

საადგილ-მამულო საკითხი ზოგიერთ ადგილებში დროებით გადაწყვეტილია გლეხთა ყრილობების მიერ, თანახმად დეკრეტისა № 7, და ეხლა მაზრაში მუშაობს რამოდენიმე კომისია, რომლებიც არკვევენ მიწის დროებითი ნორმას.

მაზრაში არსებობს საბჭოთა ხუთი მსხვილი მეურნეობა, რომელთაგან 3 მეურნეობას აწარმოებს თვით ნახელმწიფო, ორი კი დასამუშავებლათ გადაეცათ გლეხებს.

ეკონომიური განყოფილება შეუერთდა კომმუნალურ მეურნეობას და თავის გამგებლობაში აქვს 21 პატარა წარმოებანი: ფირალოვის თამბაქოს ქარხანა, 2 ელექტრონის სადგური, 3 წისქვილი—2 ელექტრონის და ერთი ნავთით მმოძრავი, საქსოვი სახელოსნო და სხვა. შეკეთებულია, 2 ხიდი და 700 კვ. საჟენის ქვაფენილი ქუთაისში და გუბის გზატკეცილის ხიდი. სასკოლო საქმის რეორგანიზაცია საბჭოთა ტიპის მიხედვით, თითქმის დასრულებულია.

მაზრაში მოქმედებს 231 1-ლ საფეხურის სკოლა 20000 მოსწავლით, ქუთაისში 20 შრომის სკოლა 6000 მოსწავლით და 5 ტეხნიკუმი 3000 მეტ მოსწავლით. მეცადინეობა დაიწყო ოქტომბრის 10 და გრძელდება იმის მიუხედავათ, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი.

ჯანმრთელობის განყოფილება ქალაქში განაგებს 3 საავადმყოფოს. 3 თვის განმავლობაში მომარაგების სახალხო კომისარიატისაგან არაფერი მიგვიღია და იძულებული ვხდებით საკუთარ ძალით ვიარსებოთ. ამიტომ ულუფა ეძლეოდათ მხოლოდ ფიზიკურ შრომის მუშებს—დღეში ერთი გირვანქა მჭადი. ორ ჯერ დავარიგეთ თამბაქო მარილი, ნავთი. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია და არ გვეყოფა 3-4 თვეს.

მთავრობამ უნდა აღმოგვიჩინოს დახმარება, თესვის ცენტრალური საბჭო შეგვპირდა 4 ვაგონი სათესლე მასალის გამოგზავნას, მაგრამ ჯერ არ გამოუგზავნია.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასების საავადმყოფო კასების გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს

შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.

შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.

2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებებს გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბევრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

ტირაჟი 10,09 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა